


645
1964/2

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



საქართველოს ბავშვი

№ 6 1964 წ.



ქართული
ბიბლიოთეკა



ფოტოგრაფი უ. არჩვაძის

המחלקה לפרסום
המחלקה לפרסום

אנחנו! אנחנו! אנחנו!
אנחנו! אנחנו! אנחנו!
אנחנו! אנחנו! אנחנו!
אנחנו! אנחנו! אנחנו!



המחלקה לפרסום

ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ვერა მისურაძე მადვიძარას გაბმულ ზარს გაედვიძებინოს. მობრთვით კი აკურატულად მართავს ყოველ დამე. ასე უფრო იმედინად შეგიძლია დაიძინო. დამეც რომ გამოვიძახონ და გათენებისას მობრუნდე, ცოტა თვალს მოატყუებ და დილით საავადმყოფოში მაინც არ დაგავიანდება.

ათასში ერთხელ რომ უწვევდეს დამე წასვლა, არ ღირდა მადვიძარას ზარით თავის შეწუხება,

თვითონ ჯანდიერს კი ჯერ სახელიც არ ჰქვია. თუმცა ერთი კვირის წინ სახლში ფარული კენჭისყრა ჩატარდა სახელის შესარჩევად. ბროლის თასში ჩაყარეს წვრილად დაკეცილი ქაღალდები, რომელზეც საორიენტაციოდ შერჩეული სახელები ეწერა (მხოლოდ ბიჭის სახელები! — ასე ისურვა მამამ), შემდეგ ეს ქაღალდები გულდაგულ არიეს და მომავალ დედას ამოაღებინეს. გიორგი ამოვიდა. დედას კახა უნდოდა, მამას იოთამი და ამიტომ კენჭისყრა საერთო შეთანხმებით გაუქმებულად ჩაათვალეს.

დება, უკვე იციან, რას იტყვიან ყურმილში: — საავადმყოფოდან ვრეკავთ, დიდ ბოდიშს ვისდით, ქალბატონ ვერას თხოვეთ. შემდეგ იწყება პირობითი სინგალიზაციის მთელი სერია. ვერას კედელზე მკვობელმა თანჯამ აკაკუნებს, რაც ნიშნავს: „საავადმყოფოდანაა“. საპასუხოდ ერთხელ კაკუნი ისმის: „გავიგე, მივდივარ, გმადლობთ“.

საავადმყოფოში ვერას დანახვაზე ახალგაზრდა ექთანები ფეხზე წამოდებიან. შესცინებენ: „ყველაფერი რიგზეა“. ექიმი სამივე საგუშაგოს შემოვიღის. პალატაში 80 ბავშვია. ესენი ჯანმრთელები არიან. ექიმი დღენაკულთა განყოფილებაში მეტ ხანს ჩერდება. გამოცდილ თვალს არ ეპარება სულ ოდნავი ცვლილებაც კი. ბავშვს, რომელიც სპეციალურ ელექტროლუმენში — კუვეზში იყო მოთავსებული (რადგან მის ორგანიზმს უჭირდა საჭირო სითბოს გამოშუშავება) დიდხანს და გულდასმით სინჯავს, მერე სახეზე ღიმილი ეფინება და კოლეგებს უდასტურებს: შეიძლება გაწერა, არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

გაბმული ზარი

მაგრამ გამოცდილი ექიმის თვალი და ხელი წარამარა სჭირდებათ პაციენტებს, რომელთა პასპორტები უცნაურადაა შევსებული: „მამაშვილი-მოწონაშვილი, ქალი 3,500“, „პეტრიაშვილი-ჯანდიერი, ვაჟი 3,700“.

ჯერ-ჯერობით ეს არის და ეს ჯანდიერის ღირსება, რომ ის ვაჟია და თანაც 3 კილოგრამსა და 700 გრამს იწონის. პასპორტის დუბლიკატი დედასთანაა.

პირველივე დღეს ახალგაზრდა დედებს არ სცილებათ უცნაურად აკვიატებული ფიქრი: „რომ შეეშალოთ და ჩემი შვილი სხვას მიუყვანონ?“ ისინი რწმუნდებიან, რომ აქ ამგვარი შეცდომა არ შეიძლება მოხდეს.

ვერა არჩილის ასულს კი ასეთ შეკითხვაზე გაედვიძება. ალბათ, ასე გაიღივებდა მშენებელი ინჟინერი, რომ გვეკითხათ: „თუ შეიძლება შეგეშალოთ და სახლს კიბის ნაცვლად საწვიმარი მიწილი გაუკეთოთ“ ან მასწავლებელი, რომელსაც შეეკითხებინათ: „მომხდარა თუ არა მეორე კლასში გამრავლების ტაბულის ნაცვლად ნიუტონის ბინომი ამოხსნათ?“.



და შეგიძლიათ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ. 26 წლის მანძილზე არ შემცდარა ვერა არჩილის ასული.

პალატებიდან გამოსული, ახალშობილის განვითარების ისტორიას ჩაუკდება: „დედა 32 წლის, რადიოტექნიკოსი. ბავშვი — ტემპერატურა ნორმალური, თვალები — დამუშავებულია პენიცილინით, ყვრილი — კარგი“...

ასე მთავრდება დილა და საქმეში გართული ვერც კი იგრძნობს როგორ მოვა

შუაღღ

— რა ვქნათ, ექიმო, სერიოზუს დედამ უარი თქვა სისხლის გაღებაზე, ბავშვისთვის კი აუცილებელია თავიდან გამოვარკვიოთ დედის სისხლის შემადგენლობა.

სერიოზო პირობითად შეარქვეს ბავშვს, რომლის გადარჩენას ბევრი ხლავფორთი და უძილო საათი დასჭირდა.

ბავშვს დედის რძე წყენდა. გამოითქვა მისაზრება, რომ დედას ჰქონდა რეზუს — უარყოფითი, თუმცა დედა დაბეჯითებით ამტკიცებდა, სისხლი ადრე გამისინჯეს და უარყოფითი რეზუსი არა მაქვსო. ექიმებს ეჭვი შეეპარათ მის გულწრფელობაში, მაგრამ დედა გაჯიუტდა — არაფრით არ მოგცემთ სისხლს.

ექიმებმა ვერაფერი გააწყვეს. განყოფილების გამგეს ვერა არჩილის ასულს მიმართეს.

ვერას სახეზე წყენის ფერი დაედო. როგორი დედა არ უნახავს ამ 26 წლის მანძილზე და მაინც ვერ ეგუება, როცა დედა თავისთავს ზოგავს და მზადყოფნას არ გამოთქვამს თუნდაც მთელი სიცოცხლე შესწროს შვილს.

არავინ იცის, რა უთხრა ექიმმა გაჯიუტებულ, თავისთავზე მზრუნველ დედას, ეს კი იყო — საუბრის ბოლოს შპრიცი მოითხოვა და... ექიმების ვარაუდი გამართლდა.

სერიოზუს გადარჩა და დედაც.

ვერამ ერთხელ კიდევ შეკრიბა ექიმები: თალიკო სადრაძე, ანასტასია დავითაშვილი და ნინო შავთვალიშვილი, სერიოზუს შემდგომ მკურნალობაზე ესაუბრა.

— რა იცით, იქნებ გოგო იბადება, კაცი ბჭობდა და დღერთი იცინოდო, — თქვა ბებია.

ახლადმოვლენილ ჯანდიერს კი ყველაზე ნაკლებ აწუხებს კახაბერად გაიცნობს ქვეყანა თუ იოთამად. ახლა მისთვის მთავარია დროზე წაიყვანონ სასაუზმოდ და ძილი არაფრით დაუფრთხონ.

ოთხმოცამდე ასეთი მომავალი იოთამი და მაია, ლელა და კობა, კახაბერი და თამუნია ელოდება ვერა მისურაძეს საავადმყოფოში და რა გასაკვირია, მადვიძარას რომ დაასწროს ადგომა და ქალაქის №1 საავადმყოფოში მიმავალი ავტობუსის გაჩერებასთან აჩქარებული ნაბიჯით მივიდეს.

ზარი კი ცარიელ ოთახში რეკავს. მეზობელს ეღვიძება და ეღიძება.

როცა ღამით მეზობლის ტელეფონი აწკრიალ-



დღევანდელი დღე უხვმოსავლიანი აღმოჩნდა, ახალშობილთა პალატას შეემატა 15 სხვადასხვა ზომის, წონისა და ხასიათის ახალი წვერი. მათი სიცოცხლის პირველმა დღემ ვერას საიმედო მეთვალყურეობის ქვეშ ჩაიარა. დღე კი თანდათან მიიწურა და დადგა

ს ე ლ ა მ ო

ავტობუსში, ნახევარ გზაზე ისევ შთაბეჭდილებებს უბრუნდება, აანალიზებს. ვერას არ უყვარს მაღალფარდოვანი ფრანგები და აზრადაც არ მოსვლია ეთქვა, რომ ბედნიერია, რადგან მან დამსახურა დედის უანგარო ღიმილი, სიტყვაუქმელი მადლობა დედისა, რომელსაც პირშუო გადაურჩინეს.



ტრონომში შეიარა. ნელა აუყვა სახლისკენ მიმავალ გზას. მერე გაახსენდა:

— კობამ დარეკა გუშინ, მისმა გაზრდილმა ძმის-შვილმა:

— მიმიდა, მზად დამხვდი, სვალ ბალეტზე უნდა წაგიყვანო სპორტის სასახლეში.

კობას უარს ხომ ვერ ეტყოდა.

და როცა ყინულზე გრაციოზულად გასრიალდნენ პირველი წვერილები, ვერას ფრთხილად შეეხო მეზობლის ხელი:

— თქვენ გეძახიან.

— სახლში ორჯერ ვიყავით, ვერ გნახეთ, სა-

ჩქაროდ არის საჭირო თქვენი წამოსვლა. ბავშვი მძიმე მდგომარეობაშია.

ვერამ უსიტყვოდ დატოვა სპექტაკლი...

და როცა საღამოს საავადმყოფოდან ბრუნდებოდა, გაიგონა:

— შვილო, აუღე დეიდას ბილეთი, შენ ამის გადარჩენილი ხარ.

ქორთოა ბიჭმა მორცხვად გაუწოდა ბილეთი და ვერას აღარ დანანებია გაცდენილი სპექტაკლი.

ნარგიზა მგვალაძე

დედა გამოუცდელი იყო, 24 წლის. ბავშვს დაბადებისას მხარი ამოუვარდა და დედის თვალზე ცრემლი არ შემშრალა, სანამ თაბაშირიდან ამოყვანილმა პატარამ თავისუფლად არ აამოძრავა ხელი.

სიტყვას რა უნდა გაეკეთებინა. სიტყვა უძლური იყო. მადლობა იდგა თვალეგზე და ვერასაც მეტი არაფერი უნდოდა.

ქალაქის № 1 კლინიკური საავადმყოფოდან ვერას სახლამდე დიდი გზაა და ამ გზაზე ფიქრები მოეძალევა ხოლმე.


ია-ვარდით არ ყოფილა მისი გზა მოფენილი. სიმწარე საკმაოდ ნახა, თუმცა არ დაუმსახურებია კი. ქმარი აგრონომი იყო და წინანდალში მუშაობდა. წინანდლის თვალმასხარა ბალი წალკოტად ერევენებოდა ახალგაზრდა ქალს და თავი უბედნიერესად მიიჩნდა. გაზაფხულს ჭავჭავაძიანთ ბაღიდან მოდენილი ვარდის სურნელი ავსებდა, საღამოობით ციხის წისქვილის ნანგრევებთან ისხდნენ და:

— მოვისმენია ბულბულის გალობა? აი, ყური უგდებ.

და ვერას ეგონა, ასე, ბულბულის ხმით იქნებოდა აღსავსე მისი ცხოვრება. მაგრამ... იდგა 1937 წელი... და ქმარი წაიყვანეს. ბულბულები აღარ გალობდნენ. ნიავს აღარ მოჰქონდა ვარდის სურნელი და ციხის წისქვილთან საშიში იყო მისვლა, აღარც აზრი ჰქონდა.

აღარ ისურვა ბედის ხელმეორედ მოსინჯვა და მთელი თავისი ქალური სითბო და სიყვარული სხვის ბავშვებზე გადაიტანა.

გამოფხიზლდა. გაჩერებასთან ახლოს გას-





მ ი ს რ

შ ვ ი რ ო ზ ი ლ ე ზ ი

სსრკ-ის სახელმწიფო ადგილობრივი გაზეთი

„ალო, ალო! დილა მშვიდობისა, ამხანაგებო! — გაისმის ყოველ სამშაბათს რადიოს ხმა სოხუმის პირველ სკოლა-ინტერნატში.

ისმინეთ, ისმინეთ ახალი ამბები სკოლის ცხოვრებიდან:

ჩვენს სკოლას კიდევ შეემატა ოთხი კაბინეტი: ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიისა და გეოლოგიის; სამკითხველომ ექვსი ათასი სახელმძღვანელო მიიღო. შეგიძლიათ ისარგებლოთ;

ჩვენს ნაკვეთზე მოწვეულ ხილზე 1.500 მანეთი გვერგება. თანხას გამოვიყენებთ უღელმამო ბავშვების აგარაკზე გასაგზავნად;

ზამთრის არდადეგებზე გვეწვევიან სტუმრები მოსკოვის სკოლა-ინტერნატიდან;

ყველაზე კარგი მოსწრება ჯერჯერობით მეათე კლასს აქვს;

შაბათს საღამოს გაიმართება დიდი კონცერტი. კონცერტს აწყობს სკოლის ანსამბლი. ანსამბლის დირიჟორია მეთოქვლასელი ლუდმილა გუმბა...

...ფანჯარასთან ქალი დგას და უცქერის მოკისკისე ბავშვებს. ამ პატარების დიდი სიყვარული, თორემ ნამდვილად გაუჭირდებოდა ლეოლას.

ეს იყო 1960 წელს. სოხუმის განათლების

განყოფილებაში გამოუძახეს ლეილა ანჩაბაძეს, მაშინ ის პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორად მუშაობდა. ლეილა პირველი სკოლა-ინტერნატის დირექტორად დანიშნეს. მარტო შენობა ჩააბარეს, არც წყალი იყო, არც განათება. ბავშვები კი ნიაღვარივით მოაწყდნენ: გუდაუთიდან, ოჩამჩირიდან, გაგრიდან, გალიდან...

— თქვენი ჭირიმე, თქვენი იმედი გვაქვს, — უბარებდნენ დირექტორს დედები და მათ სახეზე შიში ისატებოდა.

გაჭირვეულებული ბავშვები ტირილდნენ... არც ალურსი ჭრიდა და არც ახალი ტანისამოსი.

ლეილა რატომღაც დაიბნა. თერთმეტი წელი პედაგოგად მუშაობდა იგი. მოსწავლეთა პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა მუდამ, მაგრამ სულ სხვა ყოფილა, როცა გაკვეთილების შემდეგ სასლებში ისტუმრებ ბავშვებს. აქ კი რაღაც სხვა იყო საჭირო, რომელსაც ვერ მიაგნო ლეილამ. ვეებერთელა საქმე იკისრა მან, 360 ბავშვის დედობა. სამას სამოც სხვადასხვა ხასიათთან ჰქონდა საქმე. რამდენი შრომა და გამოცდილება იყო საჭირო, რომ გზა გაეკვლია ამ პატარების გულებისაკენ.

გამოცდილი კადრები მაინც ჰყოლოდა. სოხუ-


მის პედაგოგიური ინსტიტუტიდან თოთხმეტი მისი ყოფილი სტუდენტი მოადგა კარზე. ეს ახალბედა მასწავლებლები მისგან მოითხოვდნენ რჩევას. ლეილა კი სამეურნეო საქმეებში ჩაიძირა. სასადილოში დადგმული ღუმელი პატარა აღმოჩნდა და გადაკეთებას მოითხოვდა, იგი დასდევდა ხელოსნებს. წყალგაყვანილობისა და ელექტროგაყვანილობის მუშაკებთან ხელჩართული ბრძოლა მოუხდა. ვიდრე ლეილა გარეთა საქმეებს მოაგვარებდა, ინტერნატში სწავლების დონე დაქვეითდა.

— შენგან ამას არ მოველოდიოთ, — ააგესს საყვედურებით. ლეილა ღამეებს ათენებდა ფიქრში. ჯერ თვითონ ჩაუტარა მასწავლებლებს მეთოდური რჩევა-დარიგება, მერე ათდღიანი სემინარი მოაწყო და თბილისიდან მოიწვია კარგი მეთოდისტი. ამითაც არ დაკმაყოფილდა, და ახლა წერილობით დაუკავშირდა მოსკოვის მე-15 სკოლა-ინტერნატს. სკოლის დირექტორმა ბორის შირიკინმა არ დაიზარა გამოცდილებმა გაეზიარებინა. მერე აღსაზრდელებს სრული ნდობა გამოუცხადა და სწრაფად მოხივეჭა მათი სიყვარული. ინტერნატში შეიქმნა პიონერთა რაზმეულები. რაზმეებში გაიშალა სოცშეკიბრება: დღის რეჟიმის ზუსტად შესრულებისათვის, წარჩინებული სწავლისათვის, დისციპლინისათვის, სისუფთავისათვის...

დილით, როცა მზე შეიხედავს ფანჯრებში, აღსაზრდელები უკვე ფეხზე არიან, გაკრიალებულ ლოგინებს კოხტად გაასწორებენ და დილის ვარჯიშზე გარბიან. ვარჯიშს მორჩებიან თუ არა, წელზევით ცივი წყლით დაიხევენ ტანს და სასადილოში წაუღენ. მათ მოსვლამდე მორიგეები ტრიალებენ აქ, ესმარებიან მზარეულს, ამზადებენ საუზმეს, შლიან მაგიდებს. საუზმის შემდეგ მერხებს მოუსხდებიან. მესამე შესვენებაზე მეორე საუზმეს შეექცევიან. გაკვეთილებს მორჩებიან თუ არა, ისადილებენ და ზოგი მუსიკალურ სკოლაში მიიჩქარის (16 ბავშვი სწავლობს მუსიკალურ სკოლაში), ზოგი სპორტ-სკოლაში. მერე შეისვენებენ. შესვენების დროს წიგნებს კითხულობენ, ჭადრაკს თამაშობენ, აუთოვებენ, ქარგავენ, შემდეგ გაკვეთილების მომზადებას შეუდგებიან. ერთმანეთს ესმარებიან. თუ რომელიმე საკითხი გაუგებარია, აღმზრდელმასწავლებელს მიმართავენ. გაკვეთილების მომზადებას ახლა ყველა კლასი და მოსწავლე ასწრებს.

ერთ შაბათ დილას ინტერნატში გამოჩნდა აფიშები: „დღეს იქნება დიდი მეჯლისი“ (ასეთი მეჯლისი ინტერნატში ახლა ხშირად ეწყობა). საღამოს საკონცერტო დარბაზი ბავშვებით გაივსო. სოხუმის მუსიკალური სკოლის მოსწავლეებიც მოვიდნენ სტუმრად. ისმოდა მუსიკის ხმები. საკუთარი ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა: ტარას ავიძბამ, ვალერი ჭკადუამ, ვალენტინა ემურხბამ. ქართულ კაბებში და ჯუ-





ბა-ჩოხებში გამოწვეპილმა პატარა მოცეკვავეებმა სცენა აახშიანეს.

უსაზღვრო იყო ლეილას სისხარული. ის იგონებდა პირველ წლებს. სადღა არიან ის მოუხეშავი, ჯიუტი გოგო-ბიჭები, დედებმა რომ მოიყვანეს პირველად.

— მეუღლე არა მყავს, ბიჭს ვერ მოვერიე და მეღუპება. სულ აიღო ხელი სწავლაზე, მთელი დღეები ქუჩაშია. მეშინია ცუდ წრეში არ მოხვდეს, იქნებ დამეხმაროთ, — ამბობდა ერთ-ერთი დედა.

ლეილამ დაამშვიდა იგი. მერე ბიჭს კეთილი ღიმილით გაუღიმა, თავზე ხელი გადაუსვა:

— მოდი, ვახტანგ, დავემგობრდეთ მე და შენ.

ბიჭმა უნდობლად შეხედა დირექტორს.

— მომეცი სიტყვა, — გაუმეორა ლეილამ.

პირველ ხანებში ბიჭმა კვიმატობა მაინც ვერ მოიშალა. აღმზრდელი მასწავლებელი ლეილა ფილია განგებ არიდებდა თვალს. დირექტორი კი ხშირად მიაკითხავდა ვახტანგს ხან გაკვეთილებზე, ხან საძილე ოთახში, და ფრთხილად, ისე რომ არ შელახულიყო ბიჭის თავმოყვარეობა, არიგებდა. ვახტანგმაც ალალი გულით შეიყვარა დირექტორი და შრომისმოყვარე ბიჭი დადგა.

რამდენი ბეჯითი და ნიჭიერი ასალგაზრდა იზრდება ლეილასთან, ყველას ჩამოთვლა ძნელია, ყველა კლასი ცდილობს როგორც შრომით, ასევე სწავლით პირველი იყოს.

ხშირად ტრიალებენ სახელოსნოში ყმაწვილები: აშალაშინებენ, აკეთებენ ყვავილების დასადგმელებს, სტენდებს, არემონტებენ სკამებს, მაგიდებს, მერხებს. სარემონტო ბრიგადის ხელმძღვანელობა ამირან ჯახაიას დაავალეს. თავზეხელაღებული მოხსუბარი ბიჭი იყო ამირანი, როცა ნამამ სკოლა-ინტერნატი მიიყვანა. მამა უამბობდა დირექტორს ამირანის ოინებს და სირცხვილის ოფლი ასკდებოდა შუბლზე. დირექტორმა ყველაზე მოწინავე კლასში შეიყვანა ამირანი და ამხანაგებს ჩააბარა. წარჩინებულ მოსწავლეს ლეილა ლადარიას დაავალა დახმარებოდა. ლეილა იმ დღიდან გვერდიდან არ ცოლდებოდა ამხანაგს. ბრიგადირად რომ გამოყვეს, ნდობამ წაახალისა ბიჭი. მერე სოციალისტური შეჯიბრების შტაბის წევრად აირჩიეს. კლასის მამასახლისობა ჩააბარეს. ახლა მის მაგალითს სხვები ბაძავენ.

ლეილა ანჩაბაძე ყოველი თვის ბოლოს საგულდაგულოდ ემზადება ბავშვების დაბადების დღის აღსანიშნავად. როგორც მზრუნველი დე-

და, თეთრი წინსაფრით ტრიალებს სამზარეულოში და ამზადებს აღსაზრდელებისათვის ნაირ-ნაირ ტკბილეულს. მერე იუბილარებს ჭრისად შეუყრის თავს, საპატიო აღნიშვნა დასჯამს სტუმრად მოდიან დედები. ამხანაგებს მოაქვთ საჩუქრები: წიგნები, ყვავილეზა, სათამაშოები.

ღამის 10 საათზე, როცა ბავშვები დასაძინებლად წავლენ და ყველაფერი მიწყნარდება, ლეილა სკოლის ეზოში გამოვა. ყვავილნარებს ჩაუკლის, ხან ერთ ყვავილს წაეტანება მოსაწყვეტად, ხან მეორეს, მაგრამ არცერთს არ მოწყვეტს, ან როგორ უნდა მოწყვიტოს — მისმა აღსაზრდელებმა ზეპირად იციან რომელი ყვავილი როდის გაიშალა. ვერ იმეტებს ბავშვების ნასათუთარს მისაგლეჯად. ჩქარი ნაბიჯით გაივლის კვიპაროსების ხეივანს. სახლში შვილი ელოდება, მისი ერთა ლევიანი. ახლა, ალბათ, ზის



პიანინოსთან და უკრავს დედის საყვარელ მელოდიას, ლისტის მეთრე რაფსოდიას. ლეილა ფრთხილი ნაბიჯებით აივლის კიბეებს, მაგრამ ლევანს დედის ფეხის ხმა არ გამოეპარება. თითქოს ინსტიქტით გრძნობს საყვარელი ადამიანის მოახლოებას, დაკვრას წყვეტს და კარგში მიეგებება დედას. ლეილა გულში ჩაიკრავს შვილს. როცა ალერსით გულს იჯერებს, გაკვეთილებს შეუმოწმებს და დასაძინებლად გაისტუმრებს.

თვითონ ლეილა გვიანობამდე ზის სამუშაო მაგიდასთან. ასწორებს რვეულებს, ადგენს გემებს. ფიქრობს, ეძებს, რომ ხვალ მის მეორე ოჯახში რაღაც უფრო კარგი შექმნას, უფრო მეტი სიახლე შეიტანოს, რომ ცხოვრების გზაზე გამოსული მისი შვილობილები ბედნიერები იყვნენ მუდამ...

ოლია რაჰვია

ძიანდრო



მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ნანა მეხსიძე

მაშინ მე შვიდი წლისა ვიყავი, ერთი გამხდარი, შავი გოგო. მთელ ქუჩას მოსვენებას არ ვაძლევდი. ანზორთან, ირაკლისთან და ჩვენი ქუჩის სხვა ბიჭებთან თავდავიწყებით ვთამაშობდი კოჭობანას, ომობანასა და ფეხბურთს.

მოვიდოდი თუ არა სკოლიდან, ჩანთას დავაგდებდი და მერე, დედის მოსვლამდე, ქუჩას აბა, ვინ მომამოხრებდა? მთელი დღე ბებიარჩემის ძახილი ისმოდა:

— ხათუნა!.. ხათუნა!..

მაგრამ არავითარ ძალას არ შეეძლო ჩემი სახლში შეყვანა. ბოლოს ჩემს სირბილსაც მოეღო ბოლო. ეს ასე მოხდა:

ჩვენს შორის ყველაზე უფროსი ანზორი იყო. ანზორს ბევრი წიგნი ჰქონდა წაკითხული და ხშირად გვიყვებოდა კიდეც. იმ დღესაც მოგვიყვია, როგორ დაადო მამამ თავის ვაჟიშვილს თავზე ვაშლი და როგორ ესროლა შორიდან ოხარი. ისარმა ვაშლი შუაზე გააპო, ბიჭი კი უვნებლად იდგა. ყველას მოგვეწონა მოთხრობა და გადავწყვიტეთ ჩვენც გვეცადა ბედი.

ანზორმა დაიღო თავზე კონსერვის კოლოფი და ზურგშექცევით დადგა, მე ოციოდე ნაბიჯით დავშორდი მას, ხელში საკამოდ დიდი ქვა მოვიმარჯვე და დავეუბინე...

ყუთი უვნებლად ეგდო მიწაზე...

ანზორს თავი გაუტყდა. მთელი ქუჩა ფეხზე დადგა:

— ხათუნამ ანზორს თავი გაუტყდა!...

ბიჭები სამკედრო-სასიცოცხლოდ გადავიკიდე.

დედამ დაუბარა ბებიას, არაფრის გულისათვის არ გავეშვი სახლიდან. მეც ბედს დავმორჩილდი.

* * *

ჩვენს ქუჩაზე ბევრ ოჯახს ჰქონდა პატარა ბაღი. ჩემს ეზოშიც იყო ბაღი. მართალია ის მე კი არა, ჩემს მეზობელს ამბროსის ეკუთვნოდა, მაგრამ მე მაინც „ჩემს ბაღს“ ვეძახდი.

ყოველ გაზაფხულს ამბროსის მოჰყავდა ერთი, სამოცდასუთიოდე წლის კაცი, რომელიც ბაღს ბარავდა. ბებიარჩემი მასზე ხშირად ამბობდა: „სანდრო მუყაითი და გამრჯე ადამიანიაო“.

იმ დღესაც მოვიდა ძია სანდრო ჩვენს ეზოში. მე და ბებია აივანზე ვისხედით. მოგვესალმა, აიღო იქვე მიყუდებული ბარი და მუშაობას შეუდგა. მე თვალს არ ვაშორებდი.

მაღალი ტანისა იყო, წელში ოდნავ მოხრილი. ოდესღაც შავი, გრუზა თმა მანებვრდა შევერცხლოდა. პატარა, კახური ქუდი ისე ეღო თავზე, გეგონებოდათ ეს-ეს არის გადმოვარდებო. კარგი შესახედი იყო. დიდი თავისფერი თვალები, შავი წარბ-წაშწამით. კეხიანი ცხვირი და საკმაოდ დიდი ტუჩები, რომელიც მუშაობის დროს მაგრად ჰქონდა მოკუმული.

— ბებია, შეიძლება ბაღში ჩავიდე? — ვკითხე ბებიას.

— ბაღში?! — გაიკვირვა მან. ალბათ ის გაიკვირვა, ნებართვას რომ ვითხოვდი.

— წადი, მაგრამ...

უკანასკნელი სიტყვები აღარ გამიგონია, უკვე ბაღში ვიყავი.

ძია სანდროს ჩემი ბაღში შესვლა არ გაუგია. გამალებით მუშაობდა და თავისთვის ღიღინებდა. იქვე ჩავცუკქვდი.

— ჰაი დედასა, რა მიწას აფუჭებს ი ვერანა? — ჩაილაპარაკა ძია სანდრომ.

მიხვდი რომ ამბროსიზე ამბობდა და სასწრაფოდ გამოვხმნაურე:

— ეე არ არის კარგი კაცი.

ძია სანდრომ მომხედა. იქვე საწყვლად ჩაცუკქული რომ დამინახა, გაეცინა, ბარი მიწაზე დააგდო და ჩემს გვერდით მოიკალათა.

— რომელზე ამბობ, შვილო? — მკითხა მან და ოფლი მოიწმინდა

— ამბროსიზე!

— ჰმ!.. ამბროსიზე? — ჩამკითხა ძია სანდრომ, მაგრამ მე ხმა აღარ გამიცია

გამიცია

ცოტა ხანს ჩუმად ვიჯექით, მერე მან თავზე ხელი გადამისვა და დიმილით მკითხა:

— რაო, ხათუნი, ქუჩაში აღარ გიშვებენ?

— ანზორს თავი გაუტყვე და... — მივუვე დარცხვენით.

— ვიცი, ვიცი, ბებიარჩემმა მითხრა.

— ჩემი ბრალი არ არის, თვითონ მითხრა მესროლეო და მეც ვესროლეო.

— ქვის სროლა რა ქალის საქმეა, ხათუნა. შენ ხომ პატარა აღარა ხარ? ჩემი თამრიკო შენი ხნისაა, მაგრამ დედასაც კი ეხმარება.

— თამრიკო ვინაა? — გავიკვირე მე.

— თამრიკო ჩემი შვილიშვილია, ენაცვალოს პაპა!

— მამა ჰყავს? — ვკითხე ჩაფიქრებულმა.

— ჰყავს მამა, შვილო, ჩემი ბიჭი მისი მამაა.

მე მოვიწყინე. შემშურდა იმ თამრიკოსი, რომელსაც მამაც ჰყავდა, ბაბუაც და ჩემზე ჰკვირიანც იყო.

— მამამისს ძალიან უყვარს თამრიკო? — ვკითხე კარგახნის ღუმლის შემდეგ.

— აბა, რომელ მამას არ უყვარს თავისი შვილი. თამრიკოს მეტი ჩემს ბიჭს შვილი არა ჰყავს და მზე და მთვარე იმ გოგოზე ამოდის.

— მეც ვეყვარებოდი მამარჩემს, ფაშისტებს რომ არ მოეკლათ! — ვთქვი ცრემლმორეულმა.

ძია სანდრომ თავი ასწია და ჩემსკენ მიბრუნდა. ცრემლმორეული რომ დამინახა, მიხვდა, როგორ ვანვიციდილი უმამობას. შევეცოდე, თავზე ხელი გადამისვა და თვალბეში ჩამხედა.

— ეყვარებოდი, შვილო, ეყვარებოდი, მამა! — მითხრა და გულზე მიმკრა

— იცი, ჩემი მამა რა კარგი იყო? პარტიზანი ყოფილა და ფაშისტებს ტყვედ ჩაუგდიათ. მამას ბევრი საიდუმლოება სცოდნია, მაგრამ მტრისთვის არც ერთი არ უთქვამს. ფაშისტებს ხეზე მიუბიათ და მაგრად უცემიათ. მამას დაუწყვეტია თოკები, ხუთი გერმანელი მოუკლავს და გაქცევას რომ აპირებდა, მეექვსეს ზურგიდან დანა ჩაურტყამს. ასე მოკლეს ჩემი მამა. ჩემი მამა გმირი იყო!.. — მე ვტიროდი.

ძია სანდრო მისმენდა, მისმენდა და თვითონაც ტიროდა. მამარჩემი მართლა ომში დაიღუპა, მაგრამ მე ის არასოდეს არ მინახავს და არც მისი სიკვდილის შესახებ ვიცოდი რაიმე.

მაგრამ ძალიან მიხდოდა, რომ მამარჩემი გმირი ყოფილიყო და ეს ამბავიც იმიტომ გამიგვიჩვენე. ყველას ასე ეუყვებოდი მისი დაღუპვის ამბავს და ბოლოს მეც კი მჯეროდა, რომ მამარჩემი სწორედ ასე დაიღუპა.

— ხათუნა! — მომესმა ბებიას ხმა, — მოდი, შვილო, სკოლაში არ დაგაგვიანდეს.

ატირებული დავბრუნდი სახლში.

* * *

მეორე დღეს კვირა იყო. ძია სანდრო ჩვეულებრივზე უფრო გვიან მოვიდა. მე უკვე ბაღში ველოდებოდი.

— დამაგვიანდა, შვილო განა? — მოსვლისთანავე მკითხა მან.

— არა, ძია სანდრო, ამბროსი ჯერ შუა ძიღშია.

ძია სანდრომ არაფერი მიპასუხა, მხოლოდ პატარა ჩანთა გახსნა (რომელსაც ყოველთვის თან ატარებდა) და ორი დიდი ვაშლი გამომიწოდა.

— დღეს დილით ჩემი ძმა ჩამოვიდა სოფლიდან და ეს ვაშლებიც იმან ჩამოიტანა. ჰამე, შვილო, ეს ჩვენებური კეხურა ვაშლია.

ვაშლი არ მიყვარდა, მაგრამ ძია სანდროს ხათრით ერთი ჩავკბიე.

— რა გემრიელი ვაშლია!

— ხო გითხარ, შვილო, კახეთის მიწა დალოცვილია, ჩვენებური ხილი გემრიელია.

— ძია სანდრო, კახეთიდან რატომ გადმოსხვედი თბილისში? — მორიდებით ვკითხე.

— რატომ? ჰმ!.. — ის გაჩერდა, ბარს დაეყრდნო და თვალები მიწას გაუშტერა, სახე მოედრებულა.

— მე, შვილო, ორი ბიჭი მყავდა, — დაიწყო ძია სანდრომ — გიორგი და შალვა. ომი რომ დაიწყო გიორგი ჯარში წაიყვანეს, შალვა პატარა იყო. გიორგის წასვლის შემდეგ, ერთი სამჯერ მაინც გამეკეცა ის მამაძაღლი, მეც უნდა ვიომოთ, მაგრამ ჩემმა ავადმყოფობამ შეუშალა ხელი, მართო ხომ არ დამტოვებდა.

— ძია სანდრო, ცოლი არ გყავდა? — გავიკვირე მე.

— როგორ არ მყავდა, ხათუნი, — ნაღვლიანად ჩააცინა მან, — ის აღრე გარდამეცვალა.

— საწყალი!..

— საწყალი ის კი არა, მე ვარ, შვილო, რომ გიორგის სიკვდილს მოვესწარი. მოუკედეს იმას მამა... აბა, ის ვაჟკაცი მიწაში უნდა იწვეს და მისმა უბედურმა მამამ მისი საფლავიც კი არ იცოდეს! სადღაც პოლონეთში მოუკლავთ, ვარშავისთან ახლოს და იქვე დაუსაფლავებიათ.

მოხუცი გამაღვებით სცემდა ბარს მიწას, თითქმის გიორგის მკვლელის ჯავრს იყრია.

— მერე შალვაც წამოიზარდა, — განაგრძო კარგა ხნის დუმილის შემდეგ, — ქალაქში წამოვიდა, უმაღლესი დაამთავრა, აქაური ქალი ითხოვა და სამუდამოდ თბილისში დასახლდა. აბა, მე რა გამაჩერებდა იქ მართო. შალვამ მომწერა — გაყიდე, რაც დაგვრჩა და აქ გადმოდიო. მეც მივიყიდ-მოვიყიდე რაც კი რამ მეზავდა და ჩემს შვილს მივაღდექი. ღვთის მადლით რძალი კარგი გამომადგა და სიბერე არ გამომწარა.

ძია სანდრო ბარავდა. მე მეორე ვაშლის ჭამას შევეუდექი.

* * *

სამი საათისათვის დედამ სადილად დამიძახა. მე ბევრი ვეხვეწე ძია სანდროს, ჩვენთან ესაღილა, მაგრამ უარი მითხრა.

— ცოტადა დამრჩა, დღეს უნდა დავამთავრო, სვალისათვის არ მინდა გადავლო, ძმა ჩამომივიდა და...

ძია სანდრომ დაამთავრა ბაღის ბარვა.

ამბროსიმ არ იკადრა ქვევით ჩამოსვლა და ფული თავის ნათესავ გოგოს გამოატანა. მოხუცმა ფული აიღო და დაუთვლელად ჩაიდო ჯიბეში.

— ხათუნა! — მომიბრუნდა მე, — შენს გაზრდას, შვილო, ერთი პატარა სკამი გამომიტანე, ცოტას დაეისვენებ და მერე წავალ. გამოვუტანე. ის მძიმედ დაეშვა სკამზე, ქუდი მოიხადა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლი მოიწმინდა.

— ძია სანდრო, შენ ღარიბი ხარ? — ვკითხე მე.

— ღარიბი რას მიქვია, შვილო! — იწყინა მოხუცმა.

— აბა, თუ ღარიბი არა ხარ, რატომ ემსახურები ამბროსის. ხომ ნახე, მადლობის სათქმელადაც კი არ ჩამოვიდა.

ძია სანდრო წელში გასწორდა, ქუდი ისევ დაიხურა და მომიბრუნდა:

— მე ღარიბი კი არა, გლეხი ვარ, შვილო, გლეხი, მიწის მოყვარული და მიწას მოშორებული. მთელი ჩემი სიცოცხლე მიწის მუშაობას შევალიე და, ახლა, მიწას მოშორებულს ისევ მიწისკენ მიმიწვეს გული. აბა, ვის რად უნდა ამბროსის ფული ან მისი მადლობა. მე ეს მიწა მიყვარს, ხათუ, ეს მიწა!

ის დაიხარა. თავისი დაკოჭრებული ხელით ერთი მუჭა მიწა აიღო და სახესთან მიიტანა.

— მე ამ მიწის სუნი, მიწის სუნი მიყვარს, შვილო, ეს მიწა მამუშავებს!

„მიწის სუნი?!“ — გავიკვირე მე, მაგრამ აღელვებული მოხუცისათვის არაფერი მითქვამს.

— შემირცხვენია მე ის ამბროსი, მისი მადლობა და ფული ამ ერთ მუჭა მიწასთან.

თავდახრილი ვუსმენდი ძია სანდროს. მერე ახვედე. მოხუცს აგერ-აგერ ცრემლი მოწყდებოდა. მისი აღელვება მეც გადაამედო, ცრემლები მახრჩობდა...

...ძია სანდრო დამშვიდდა. მერე თავზე ხელი გადამისვა და მითხრა:

— ხომ ვითხარ, შვილო, ჯერ პატარა ხარ, პატარა...

მამინ მე მართლაც პატარა ვიყავი.

* * *

იმის შემდეგ დიდმა დრომ გაიარა. ძია სანდრო აღარ მინახავს. ახალი ბინა მივიღეთ და სამუდამოდ გადავედით იქიდან. ხშირად ვფიქრობდი ძია სანდროზე, მაგრამ მის შესახებ დიდხანს არაფერი ვიცოდი.



ერთხელ ამბროსის ცოლი საქმეზე ყოფილიყო ახალ უბანში და ჩვენთანაც შემოიარა. მისი ქმარივით არც ის გვიყვარდა, მაგრამ ძველი მეზობლის სტუმრობა ყველას გაგვხარდა.

— ნატო დეიდა, — ვკითხე მე სხვათაშორის, — ძია სანდრო გახსოვთ?

— რომელი სანდრო?! — ვერ გაიხსენა ამბროსის ცოლმა. ასეც ვიცოდი.

— როგორ არ გახსოვს, ქალო, ბაღს რომ გიბარავდათ! — გაახსენა ბებიჩემმა.

— ა! — როგორ არა. გამახსენდა. მერე რა მოხდა?! გაიკვირვა ნატომ.

— თქვენთან კიდევ დადის?

— სანდრო თბილისიდან გადავიდა. სოფელში ცხოვრობს ძმასთან. აღბათ, ცუდი რძალი ჰყავდა. ხომ იცით ახლანდელი რძლების ამბავი... ძია სანდროს რძალი კარგი ქალი იყო.

„შეწვლილი შეწვლილი“

საქართველოს
ხეივანი



ბა და სამქროს უფროსობა ჩააბარეს. ამა-
ჟამად ის ტექნიკური განყოფილების
უფროსია.


ოლია თავის კოლეგებს — ეთერ
ფულარიას, ლარისა პოლიტოვასა და
მერი ანდლულაძეს სიყვარულით თავის
„გოგონებს“ ეძახის. ისინი ტექნი-
კური განყოფილების ინჟინრები არიან.

თქვენთან საუბარს ისინი იმით დაიწყე-
ბენ, რომ პლასტმასა შეუცვლელი შემ-
ცვლელია. ეამაყებათ, ასეთი დიდი ასპა-
რეზი რომ აქვს მათ მიერ წარმოებულ
პროდუქციას. თუ შეგატყვევს, რომ მათა
წარმოებისა ბევრი არ გაგეგებათ, აუცი-
ლებლად გაგიმარტავენ:

— მართალია, პლასტმასები მორცხვად
შემოვიდნენ ადამიანის ცხოვრებაში, შა-
გრამ შესწევთ უნარი შესცვალონ სპი-
ლოს ძვალი, ფაიფურის იზოლატორები,
ქვისგან გაკეთებული მრავალი ნაკეთობა.
ავტომშენებლობა, თვითმფრინავმშენებ-
ლობა, გემთმშენებლობა, სოფლის მე-
ურნეობა წარმოუდგენელია პლასტმასე-
ბის გარეშე.

სინთეზური მასალებისაგან დაშადებუ-
ლი საგნები ხარისხით და სილამაზით არ
ჩამოუვარდებიან ბუნებრივი მასალებისა-
გან დაშადებულ საგნებს, ამასთან ისინი
იაფიცაა.

ლითონების პლასტმასებით შეცვლა სა-
კვირველი არაა. დადგება დრო, როცა
იგი უფრო მეტი შემცვლელი იქნება.
მან, შესაძლებელია, ადამიანის ორგანოე-
ბიც შესცვალოს.



ქარხანაში მთავარ სამქროდ საწნებს
სამქროა მიჩნეული. აქ დგას 25, 50, 75,
100, 150, 200 ტონა სიმძლავრის ჰიდრა-
ვლიკური წნეხები, რომლებთაც ფენო-
პლასტს, იზოლინს, ეოლოკონს, სტეკ-
ლოვოლოკონს, ბოჭკოვან ამინოპლასტ-
სა და ამინოპლასტს ამუშავებენ. ამ პლა-
სტებიდან ყველაზე დიდი გამოყენება ფე-
ნოპლასტს აქვს. იგი ყველაზე ადრე იყო
ცნობილი. ამომრთველები, მაგიდის ნა-
თურები, საფერფლეები, მანქანის დეტა-
ლები ფენოპლასტისაგან მიღებული პრო-
დუქციაა.

რთულია პლასტმასების წარმოების
ტექნოლოგია; ბევრ გამამუშავებას მოი-
თხვს ნიუნი-ტაგილის პლასტმასების,
კემერევის, ორეხოვოს კარბოლიტის,
ვლადიმირის ქიმიური და სხვა ქარხნე-
ბის მიღებული პლასტმასების ფხვნილე-
ბი. ამ ფხვნილებიდან თბილისის პლასტ-
მასების ქარხანაში თავდაპირველად აბებს
ამზადებენ, მერე კი იწყება ძირითადი
პროცესი — დაწნება.

მაუვალა მიღებული

სამამულო ომი ახლად დაშთავრებული
იყო, როცა თბილისში პლასტმასების ქარ-
ხნის მშენებლობა დაიწყო. ორი წლის
შემდეგ საექსპლოატაციოდ ორი კორპუ-
სი გადაეცა. ორეხოვო-ზუევის კარბო-
ლატის ქარხანაში საქართველოდან წარ-
გზავნილებმა სამი თვე დაბყვეს, პლასტ-
მასების ტექნოლოგია შეისწავლეს და
თბილისში, ახლადშექმნილ ქარხანაში
კვალიფიციურ ოსტატებად მოვიდნენ.

სამშობლოში დაბრუნებულთა შორის
იყო ტექნიკური განყოფილების უფროსი
ოლია პაპუაშვილი. თავდაპირველად იგი
ცვლის უფროსად დანიშნეს, მერე ხამ-
ქროს უფროსის მოადგილედ დააწინაუ-
რეს, ჩქარა ისევ შეუცვალეს თანამდებო.



ვუახლოვდებით ავტომატურ მანქანას, რომელსაც მაყვალა მიდელაური მართავს. იგი გახურებულ აბებს სწრაფად ათავსებს წნეხფორმებში. ქალმა კარგად იცის წნევისა და ტემპერატურის ქვეშ საწნები მასალის დაუყენების დრო. მანამდე კი დაწნეხილი ნაკეთობის შემოწმებას, მისგან სასხმის მოცილებას და ყუთში მზა პროდუქციის ჩალაგებას ასწრებს.

...და ასე, ყოველ საათში ელექტროჩამრთველებით, გამომრთველებით, ელექტროაპარატურისა და სარეცხი მანქანის სხვადასხვა ტიპის დეტალებით, ელექტროხელსაწყოებით, მაგნიტური გამწვებისა და რამდენიმე ტიპის დილაკიანი გამომრთველების დეტალებით და თბური რელეებით ივსება ყუთები. გაკეთებული ნაწარმი საწნებიდან დასამუშავებელ საამქროში გადააქვთ.

პირველი, რაც თვალში ეცემა მნახველს, ის არის, რომ აქ ერთ მაგიდას მხოლოდ ქალები უსხედან, მას „დედათა და დეხმძიე ქალთა“ ბრიგადას უწოდებენ. საკვირველი კი ის არის, ბრიგადაში შამაკაცებიც რომ ფუსფუსებენ. ისინი მძიმე სამუშაოს ასრულებენ. ქალები მხოლოდ ერთ ცვლაში მუშაობენ, დანარჩენ დროს კი ოჯახში არიან, ჩვილებს უვლიან.

მათი ბრიგადირი ანა სანაშვილია. დღის ბოლოს ბრიგადის წევრთა ნამუშევარს რომ გადაათვალიერებს, სიამაყეს იგრძნობს. მათი შრომითი მაჩვენებელი 110 პროცენტზე დაბლა არ ჩამოდის.

...ქარხანაში თერმობლასტების დამამუშავებელი საამქროც არის, სადაც რეაქტიული პლასტებისაგან განსხვავებით საჩამომსხმელო ყალიბი ცივ მდგომარეობაშია. დეტალის გაფორმება ცივ ყალიბში წინასწარ გამდნარი მასალის შეხურებით ხდება. აქ თერმობლასტების ხუთი სახეობა მუშავდება. პოლიეთილენით—შამპანურის და წყნარი ღვინოების საცობებს ამზადებენ, პოლისტიროლითა და სიპოლინერით — ბავშვის სათამაშო ნაგის კორპუსებს, პოლიამიდური ფისით — ქუთაისის მექანიკური ქარხნისათვის დეტალებს, კარონისაგან დამამუშავებელი ნაწარმი კი მიკროძრავასა და შორაპნის „ელემენტს“ ეგზავნება.

...გასასვლელთან დატვირთული მანქანები დგას. ნახევრადფაბრიკატული ნაწარმი ელექტროგამწვებში, ელექტროავტომატში და ელმავალმშენებელ ქარხანაში მიდის. პროდუქციის ნაწილი ბათუმის ელექტრომექანიკური ნაწარმისა და ფოთის ელექტროაპარატების ქარხნებს ეგზავნება. სულ 88 ქარხანას ამარაგებენ დეტალებით. იქ ხდება სხვადასხვა მანქანა-იარაღების აწყობა და მერე თბილისური მარკის პლასტმასებისაგან დამზადებული ღაზგები ბევრ ქვეყანაში გადის. ფაქტია, ვერსად დაიწუნებენ!

ჯულიეტა მინდიაშვილი.



მერე ანდლულაძე, ეთერი ფულარია და ლარისა პოლიტოვა

გურნული ხეუთ, ნათელი ამოხვეული



არსად მთელს მსოფლიოში არ იჩენენ ისეთ ზრუნვას ქალის მიმართ, როგორც ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა ქალი, სრულფუნქციონირებელი მოქალაქე, ოჯახის დედაბოძი, მომავალი თაობის აღმზრდელი და სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე, შეუწელებელი ყურადღებით სარგებლობს და უდიდესი მზრუნველობით არის გარემოში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვა მიმართულია იქითკენ, რომ დედობა ბედნიერი იყოს და სასიხარულო, ხოლო ბავშვების — კომუნისტური საზოგადოების სვედნიერი მოქალაქეების მომავალი, ნათელი და უზრუნველყოფილი.

რესპუბლიკა მოფენილია საბავშვო ბავშვის, ბავშვების და სკოლა-ინტერნატების ფართო ქსელით. ეს საბავშვო დაწესებულებები სახელმწიფოს ხარჯზე და ბავშვთა კვების, მოვლისა და სწავლების ფასის მერწინააღიწეს სახელმწიფო კისრულობს.

ყოველ წელს საუკეთესო კურორტებზე ეწყობა ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი პიონერული ბანაკები, სადაც ათასობით ბავშვი ისვენებს და იკაჟებს ჯანმრთელობას. მაგალითად, 1963 წელს საზაფხულო გამაჯანსაღებელ პიონერულ ბანაკებში დაისვენა 42 ათასმა მოზარდმა, ხოლო საბავშვო სანატორიუმებში უფასო საგზურებით იმკურნალა 2.800 ბავშვი. წელს უფასო საგზურები მიეცემა 3000 ბავშვს.

ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო.

სახელმწიფოს მზრუნველობაზე აყვანილი მოზარდი ინვალიდები. მათთვის რესპუბლიკაში გახსნილია 8 ინვალიდათა სახლი. 25 წელია, რაც კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის ინვალიდათა სახლი არსებობს და ამ ხნის მანძილზე აქ გაიზარდა და ცხოვრებაში აღდგომა მიაღწია მრავალი ინვალიდმა ბავშვმა.

7 წლის იყო როზა დინოშვილი, რომ დაობლიდა, მშობლები დაკარგა. მალე მარჯვენა ფეხი დაიშავა. ის მოათავსეს ახალქალაქის ინვალიდათა სახლში. იზრდებოდა როზა ამ სახლში, სწავლა ახალქალაქის საშუალო სკოლაში დაიწყო და იქვე დაამთავრა წარ-

ჩინებით, შემდეგ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში შევიდა, რომელიც ასევე წარმატებით დაამთავრა. ახლა როზა დინოშვილი კვალიფიციური პედატრი და რუსთაველაში საბავშვო ბავშვთა ხელმძღვანელობს.

ახალქალაქის ინვალიდ ბავშვთა სახლში იზრდებოდა და ცხოვრობდა ახა ენქელაშვილი. იქვე მიიღო საშუალო განათლება და შემდეგ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამჟამად ისევ ახალქალაქში მუშაობს.

ბევრი უთვისტომო და დავრდომილი ბავშვი შეუფარებია ახალქალაქის ინვალიდათა სახლს. მარიამ გრიცენოს არ ახსოვს, სად და როდის დაკარგა მშობლები, ხოლო თვითონ, მძიმედ დაშავებული, ახალქალაქის ინვალიდათა სახლში მიიყვანეს. მას მშობლობა გაუწიეს ამ სახლის გულსხმიერმა აღმზრდელებმა. მათი დახმარებით დაამთავრა მარიამ ახალქალაქის საშუალო სკოლა და შემდეგ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში შევიდა. ინვალიდათა სახლში აღზრდილების უმეტესობას რატომღაც ექიმის პროფესია უფრო იზიდავდა და მარიამ ექიმად გახდა. ახლა ის ნეგროპათოლოგია, ნაყოფიერება მუშაობს, საკუთარი ოჯახიც აქვს, შეიღებს ზრდის.

მძიმე იყო წინათ მრავალშვილიანი (შვილი, რვა, ათ და მეტშვილიანი) ოჯახის ხედე-რი. მშობლებს ხომ ოცნებაც არ შეეძლოთ იმაზე, რომ ბავშვებისათვის განათლება მიეცათ, სახელმწიფო კი არა თუ არ ზრუნავდა მრავალშვილიან ოჯახებზე, პირიქით — მცირეწლოვანთა შრომას იყენებდა. ახლა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო მრავალი სახის დახმარებას უწევს მრავალშვილიან ოჯახებს და მარტოხელა დედებს.

ჩვენს რესპუბლიკაში მრავალშვილიან და მარტოხელა დედათა რიცხვი 84.500 აღემატება. მათ ყოველთვიურად ეძლევათ დახმარება, რომლის საერთო თანხამ გასულ წელს 7.340 ათას მანეთზე მეტი შეადგინა. გარდა სახელმწიფო დახმარებისა, მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს ეძლევათ სხვადასხვა სახის ერთდროული დახმარება.

ბოლნისის რაიონის სოფელ განთიადში მცხოვრებ თერთმეტი შვილის დედას მარიამ ციხელაშვილს მიღებული აქვს ხუთთა-

სამდე მანეთი, ხოლო სოფელ დარბაზის მცხოვრებ ათი შვილის დედას ბასტი ნაბიგვას — ოთხათას მანეთამდე.

1963 წელს თბილისის მარტო ერთ — ორჯონიკიძის რაიონში მცხოვრებ 375 დედას ერთდროული დახმარების სახით მიეცათ 18.900 მანეთი.

დაბა კულაშის მცხოვრებ მრავალშვილიან დედას ზილფა მოშიაშვილს საბჭომ უსასყიდლოდ მისცა ათას მანეთამდე ღირებულების სახლის ასაშენებელი მასალა.

მრავალშვილიანობა ხელს არ უშლის დედებს მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში. პედაგოგმა ელენე ძიძიგურმა ხუთი შვილი აღუზარდა სამშობლოს, ამავე დროს მას ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის დამსახურებული მსწავლებლის — საპატიო წოდება აქვს მინიჭებული.

ხანშიშესული მშრომელი ქალი ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყოფილია მოხუცებულობის სახელმწიფო პენსიით და შეუძლია უშრომლად გაატაროს თავისი სიცოცხლის მეორე ნახევარი. მიუხედავად ამისა, ბევრი მათგანი ხალხით მონაწილეობს სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მახარაძის რაიონის პენსიონერმა ქალებმა გასულ წელს აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაში. მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 2 ათას ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი. ბევრმა პენსიონერმა ქალმა ისახელა თავი: ნორა ზამბახიძემ, თეო მელუამ, ელისაბედ ბასენციანმა, ფლორა ხანოიანმა და სხვებმა, თითოეულმა სამიათას კილოგრამზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა.

პენსიონერმა ქალებმა გასულ წელს დიდი რაოდენობით ჩააბარეს სახელმწიფოს აბრეშუმის პარკი, მონაწილეობა მიიღეს ციტრუსების კრეფაში.

ბედნიერად ცხოვრობენ და შრომობენ ჩვენს ქვეყანაში ქალები, შეჭხარაინ ახალცხოვრებას, მტკიცედ სწამთ თავიანთი შვილების, ჩვენი სამშობლოს და მთელი კაცობრიობის ნათელი მომავალი.

8. თოფურიძე,

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი.



ქართველი
ხელოვნების
კავშირები



მარინე ელიზბარაშვილი, 10 წლის (წინანდალი)
— „ბავშვი წყალზე მიდის“.



ელისო ცაბაძე, 16 წლის (თბილისი) — „შველი ღამეში“.

ელისო ცაბაძე, 15 წლის (თბილისი) — „ქალიშვილის პორტრეტი“.



ალექსანდრე უაჭიაური, 13 წლის (ახაშენი) — „ჩემი ძმა“.



დათაშვილი, 12 წლის (თბილისი) — „მეჩვენი“.





ლევან გოგობიძე, 4 წლის (თბილისი) — „კეილი სტივა“.



თამარიკო გოცირიძე, 6 წლის (ახალქალაქი) —
„ჩემი თვალბუკუნა დედოფალი“.




თამარ ისრაილასვილი, 5 წლის (თბილისი) — „მხატვარი სახელოსნოში“




ანა გაბუნია, 8 წლის (მაიაკოვსკი) — „მეგობარი ქალები“.





გია შენგელია, 4 წლის (თბილისი) — „ცხენოსანი“.



ეთერი მოსახლიშვილი, 14 წლის (თიანეთი)
— „ალექსანდრე უაზბეგი“.



თემური გოცირიძე, 5 წლის (ახალქალაქი) — „გემი“.



ქერაშვილი, 8 წლის (თბილისი) — „ხახლი“.

ბივი ზიზინაჲ

არსენ შიკლაური



სოკოვაი

წვიშიანში ამოვდიოთ,
ჯერ სველი გვაქვს ხალათები.
მალე ციდან მზე დაგვხვდავს,
წითელ-ყვითლად გავნათლებით.
აბა, სოფლის ვოგოვბო,
გაგვიმზადეთ კალათები!

ნაილი

— წუხდნენ, წუხდნენ ზღარბები.
— რატომ? რატომ?
— ვაშლი ჰქონდათ საკრეფი.
— მერე? მერე?
— ჯირაფს წერილი მისწერეს...
— რაო? რაო?
— აგრემც უფრო გაგვზრდება
ეგ ლამაზი კისერიო,
აფრიკიდან ჩამოდი და
გვიხსენიო!

კიშაი

დელა, ოდელა, დელია!
ტყისპირას დიდი რთველია:
ტურამ მაყვალნი დაწურა,
დათუნაც მოიშველია,
ღარს კი მიუჯდა მელია:
— იფ! იფ! რა გემრიელია!



ნახატები ჯ. მირზაშვილისა


ომობანა

ომობანა ვითამაშოთ,—
ყვირიც, ხტუნავს ლაშარი,—
თქვენ იყავით მებრძოლები,
მე ვიქნები მარშალი.
— ვითამაშოთ! — აჰყვენენ ერთხმად,
ნიკო, გია, ზაური
და ეზოში ატყდა უცბად
დიდი აურზაური.
ზოგს თოფი აქვს, ზოგს დამბაჩა,
ზოგს ხმალი და აბჯარი
და ლაშარის რაზმი უკვე
საბრძოლველად მზად არი.
უცბად გოგი გადმოფრინდა
და რაზმის წინ აგრგვინდა:
„ვითამაშოთ სხვა რაიმე,
ომობანა არ გვინდა!“

აკოსტომა ვებრიაშვილი

* * *
ბებომ გამოიყვანა
სასეირნოდ თემური,
და სიარულს ასწავლის
თვალეზგანათებული.
უკვე დიდი ბიჭია,
უკვე ყველგან გაიცნეს,
ხელი მიტომ უჭირავს—
ბებო რომ არ წაიქცეს...

* * *
იყო ერთი ზარმაცი
და მკვებარა წრუწუნა,
თურმე ერთხელ დედიკოს
სადილი დაუწუნა,
სასიმინდე ჯიხურში
შეცუნცულდა მალულად
და მაშინვე თინიკოს
ფისომ ჩაახრამუნა.



ბალადა

ქალაქ მანლის (ფილიპინები) ერთ-
ერთი გაზეთის რედაქციაში ოცი წლის
ქალიშვილი ტერესიტა მერკალო შევიდა
და ასეთი თხოვნით მიმართა:
— აცნობეთ თქვენს მკითხველებს,
რომ თვალებს მივეცი ყველას, ვინც
კი მოისურვებს.
ტერესიტა ოჯახში შვიდი ბავშვიდან
ყველაზე უფროსია. მან გადაწყვიტა
თვალეზი გაეიდოს, რომ თავის ოჯახს
ლუკმაპურის შოვნაში დაეხმაროს.
(გაზეთი „კომუნისტი“, 1964 წ.
12 იანვარი).

— წაიკითხეთ! ქალიშვილი
პყიდის თვალებს, ლამაზ ვალებს! —
პყივის ბიჭი და გაზეთის
ყიდვას არვინ არ ახანებს.

ბიჭმა ხელი გაიცალა,
კმაყოფილი მიდის, უსტვენს,
შენ კი მუშტრის მოლოდინში
ცრემლი გახრჩობს უჭმელ-უსმელს.

მოაბიჯებს შენსკენ მწუხრი,
რა უღმერთო სვე გრგები; —
ეგ ცრემლები სინათლესთან
განშორების ცრემლებია.

კრულ ცხოვრებამ მძიმე ტვირთი
ნორჩ, უმწეო ქალს აგვიდა,
სიძულვილმა მოგიშხამა
სიყვარულის ასაკი და —
შენ თვალეზი, მზით სავესენი,
გაიმეტე გასასყიდად.

ალბათ ახლა, თბილისში რომ
მე ამ ლექსის ვძერწავ პწკარებს,
შენ მშობლიურ მანილაში
ველარ უმზერ მზეს და მთვარეს.

კარგად ვიცი, რას განიცდი
უსინათლო ქალიშვილი, —
მე ხომ სენმა უხიაგმა
ჩვილს მომტაცა თვალის ჩინი.

მაგრამ მე სხვა ცის ქვეშ ვცხოვრობ
და სამშობლო გზას მინათებს,
შენ კი, შენ კი ვინ გაღირსებ
სიხარულის ათინათებს?!

შენ გაგძარცვეს, შენ წაგართვეს
გაზაფხულის ხმა და ეშხი,
ყვავილნარის ნაცვლად კენესით
უკუნეთში გადაეშვი.

მაგრამ ამით, შე საბრალო,
ბედგრულ ოჯახს იხსნი განა?!
ისევ შეგძრავს ექვსი და-ძმა
შვიერი და ტიტლიკანა.

ვინ რას მოგცემს? — მდიდარს გული
არა აქვს და, ღარიბს — ფული.
ხეტიალში დაეცემი
ყველასაგან გარიყული.

შენს ოჯახსაც იგივე ხვედრი
ურჩხულივით დააცხრება.
ასე ხდება, სადაც კაცი
კაცისათვის მგლად ცხადდება...

ჩემი ფიქრი და ტკივილი
მსურს ამ ლექსით გამცნო დაო, —
ბედისაგან გათელილო,
განწირულო, საცოდავო!

სტრიქონებში ბორგავს გული
შენს ხვედრს რომ ვერ ურიგდება,
და ყიჟინით მოგიწოდებს:
— შურისგება! შურისგება!

საშუალო
საშუალო
საშუალო

2.2.2.2

მამუკა, კარგო ბიჭო, მამუკა!
მე შენ დაგარქმევ დედის სანუკვარს,
მხოლოდ და მხოლოდ დედის სანუკვარს.

გესმის? ნანინას ძვირფასი ხმები
განათებული დედის აზრითა.
დედას აქვს ისე პატარა მხრები—
ამხელა ტვირთი როგორ აზიდა?

დედას აქვს ისე კარგი თვალები
დაღონებული მარად მას უკან,
მარტო ამისთვის შევიყვარებდი
კაცი რომ ვიყო, ბიჭო, მამუკა!

დედის ნათელი, ნათელი სახე
მთლად შენზე ზრუნვამ გაასალუქა.
ქვეყნად ბევრია კეთილი ხალხი
მათი იმედი გქონდეს, მამუკა!

ოღონდ ნუ დარდობ მარტო სიარულს,
ოღონდ ნუ ჰკითხავ: „მამა რა უყავ?“
მამ, გაუმარჯოს ქალის სიყვარულს
უმამო შვილს რომ არქმევს „მამუკას.“

4.2.2.2?

იმ კაცს როგორ უყვარს თავისი ცოლი!
— ქალია კარგი, თუ ქმარი?
— აქ მთავარია ქალი!
— არა! აქ მთავარია ქმარი!

თორემ ის ქალი სულ სახლში არი.
ჭკვიან თვალეზში ჩაუქრა ალი...
დიდიხანია აღარ წერს ლექსებს,
აღარ იკეთებს ყვავილებს თმებზე.

დიდიხანია,
დიდიხანია
სულ აკვნებისკენ მიუხარია!..
გარეთ კი ისე ნორჩი ქარია!
გარეთ იმდენი კარგი ქალია!

რომ პა,—საცაა დაკარგოს ცოლი!—
—და მაინც
რარჩვად უყვარს „ჩამქრალი ცოლი“.
—მამ,

ქალია კარგი თუ ქმარი?
— რასაკვირველია, ქალი!!
— რასაკვირველია, ქმარი!!

ბ.ს.ბ.

ბაბუა ბო

მთები მეძახიან ჩოხაჭრელა,
ხავსი მოსდებიან ჩრდილოით, —
ნაძვი, დანიშნული მოსაჭრელად,
მკლავებს შემაგებებს ჩივილით;

ხავსი ეცრემლება ქარვისფერი,
გირჩა დაბნევიდა კალთიდან —
ნორჩებს ვინლა ამცნოს ქარისპირი,
ვინლა ჩამოუძღვეს განთიადს?!

წიწვი შეუბღალეს ხვეისბერის —
მთები მეძახიან ჩოხაჭრელა;
— ისე გაიხარებს თქვენი მტერი,
მე ის დავანებო მოსაჭრელად!

როგორ მომეპარა დამე!
ეს დღეც წავიდა და ვფიქრობ —
თითქოს დავეკარგეო რამე,
რალაც დავეკარგეო თითქოს;
ჩუმად გაეშურა სადღაც,
სახელად დაირქვა „გუშინ“,
თითქოს მოდიოდა კაცი
და გზად გაიარა გულში;
ის იყო მთლოდინი დიდი,
როდესაც ერქვა „ხვალე“,
როგორ მორევიდა ბინდი,
დღეო, არ წახვიდე მალე!
ამ დღეს დავიბადე მე —
და თუ მიწილადეთ სარჩო,
მიწავ, არ შებრუნდე მეტი,
მზეო, ცოტახანსაც დარჩი!

მყუდრო დერეფანში ერთერთი ოთახიდან ბავშვების თავშეუკავებელი სიცილი გაისმა. უცებ სიცილი შეწყდა და ოთახში უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ცოტანის შემდეგ დერეფანში გოგონა გამოჩნდა. გაშლილი თმა შავი ბაფთით კეფასთან დაიმაგრა. ცრემლები ხელით მოიწმინდა და კიბეს ჩაუყვია. თავის შეკავებას ცდილობდა, მაგრამ ცრემლები მაინც უსველებდა აჭარხლებულ სახეს.

შენგან მსახიობი არ გამოვაო! — უთხრა რეჟისორმა.

ძნელი იყო ამის გაგონება მსახიობობაზე მეცნებე გოგონასათვის; უხმოდ დატოვა სარეპეტიციო ოთახი და რეჟისორს „სამაგიერო“ ტირილით გადაუხადა.

უცებ თავის კლასელ ბიჭებს მოჰკრა თვალი. აცრემლებულმა გაქცევა სცადა, მაგრამ დაინახეს და ფარიკაობაზე წამოდით, — უთხრეს.

წავიდა. სიხარულით მიიღეს — გოგონები არა გყავსო. დაშნა მისცეს ხელში და რამოდენიმე წუთის წინ მსახიობობაზე გულგატეხილი გოგონა ახლა სპორტმა გაიტაცა.

ფარიკაობამ მსახიობობა გადააიწვია. სკოლა

თონა — „ამირანი“



დაამთავრა, და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ფარიკაობაში, პირველთანრიგოსანი ზინა კვერენჩილაძე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აპირებდა სწავლის გაგრძელებას, მაგრამ... ყმა-წვილური გატაცების ძალა მაინც სცენისაკენ უხმობდა. თეატრალურ ინსტიტუტში შეიტანა საბუთები.

ბუნებით მორცხე ზინას, დიდხანს ვერაფერ ამჩნევდა ინსტიტუტში. იყო თავისთვის და ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც მასწავლებლები ეუბნებოდნენ. ერთხელ პროფესორმა აკაკი ხორავამ ოსტროვსკის „უდანაშაულო დამანაშავენი“ მისცა წასაკითხად, თან უთხრა: კრუჩინინას როლი უნდა ითამაშოო. ითამაშა და მასწავლებელმა აღაპარაკა ინსტიტუტში დიდი და პატარა. ყველამ ერთხმად აღიარა ზინა კვერენჩილაძის დრამატული მონაცემები.

თეატრალური ინსტიტუტიდან რუსთაველის თეატრში მიიღეს. სულ მალე სლავკას როლიც ითამაშა ბ. ნუშიჩის „ფილოსოფის დოქტორში“. სწორედ აქ გამოადგა ფარიკაობა: ისეთი შემართებით ეკვეთებოდა ხოლმე ველიმორს, რომ უკანასკნელს უჭირდა თავის დაცვა. ახალგაზრდა მსახიობს მიულოცეს დიდ სცენაზე პირველი წარმატება. ამის შემდეგ შეუმჩნევლად გაიარა სამმა წელმა. მსახიობის შემოქმედება კი თანდათან გაამდიდრა სხვადასხვა ხასიათისა და ასაკის გმირებთან შეხვედრამ: მაიკო („ხალისიანი მეგობრები“), გინატრე ვეშაგური („ვარსკვლავი ინათებს“) იაშუე („ამბავი სიყვარულისა“), სარე („ეზოში ავი ძაღლია“). დაიხვეწა მისი მეტყველება და სცენიური კულტურა.

თეატრში ხმა დაირხა: რეჟისორი დიმიტრი ალექსიძე „ბახტრიონზე“ იწყებს მუშაობასო. როლების განაწილების ბრძანებაც გამოაკრეს. ზინა ლელას როლზე იყო დანიშნული მესამე შემსრულებლად...

დაიწყო „შავი“ რეპეტიციები. მალე სცენაზე გადავიდნენ. ერთ დღეს ლელას ორივე შემსრულებელი ავად გახდა. რეჟისორმა სცენაზე აიყვანა ზინა და აღმოჩნდა, რომ ზინამ როლი უკვე იცოდა, ხასიათმა კი, იქვე, სცენაზე იწყო ჩამოყალიბება.

მიდიოდნენ მდღეობა დღეები. ზინა და რეჟისორი კვლავ დაუცხრომლად ეძიებდნენ. დღითიდღე ცხადი ხდებოდა, როგორ მოუხდნენ ერთმანეთს ზინა და ლელა. რა ახლოს იდგნენ ერთმანეთთან მათი ხასიათები. ყოველ ახალ მიგნებას სიხარულით მოჰქონდა, უმნიშვნელო დეტალის პოვნაც დიდს ნიშნავდა და მალე ჩანჩქერივით მოსკდა სცენიდან სიცოცხლით საფხე, ძლიერი ლელას მაჯისცემა.

ზინა კვერენჩილაძემ ლელას ქალწულო სიყვარული რომანტიკული საბურველით შემოსა, თუმცა არც მიწიერება დააკლო. ერთთურთისადმი პოეტური გზებით გატაცებულმა ლელამ და ან-

დარეზმა (კოტე მახარაძე) „ერთმანეთს მარტო დიმი შესწირეს“ და სამსხვერპლოს გზაზე ხელიხელჩაკიდებულნი გაემართნენ. ეს იყო ყველაზე ძნელადსავალი გზა მიჯნურათვის, მაგრამ რა ღირითა და ჰაეროვანი სიკვდილთან შესახვედრად მიმავალი ლელა. ის ტრიტინების გალობასა და გუგულის შემოძახილსაც კი ამჩნევს. მედგრად მიისწრაფვის მიზნისაკენ, რადგან „მტრის ჯარი გულში უდგია შავს ალაზნის გუბედა“. ლელა უწმინდეს გრძნობასაც კი ივიწყებს, ოღონდ სამშობლოს უშველოს, და მით უფრო დასანანი უგვირგვინოდ წასული ყმაწვილი ქალის სიკვდილი, რადგან ადამიანური სისუსტე სიკვდილზე ადრე დასძლია.

ლელაში მაყურებელმა იგრძნო მთელი ხალხის გმირული სული, მომხიბვლელი თავისი უშუალობითა და პოეტურობით. ზინა კვერენჩილაძის ლელა არასოდეს არ არის აღმადრენის გარეშე. ის კი არ თამაშობს, ისე მოქმედებს, როგორც გრძნობს. მისთვის უცხოა შთაგონება გრძნობის გარეშე.

მაყურებელმა შეიყვარა ზინა კვერენჩილაძის ლელა. ზინაც სულიერ კმაყოფილებას გრძნობდა, უხაროდა, რომ დიდხანს ძიების შემდეგ იპოვა თავისი გმირი, თავისი ამბულა.

პრემიერის დღეებმა გაიარა და სექტაკლი მალე ჩაღდა ყალიბში. ზინამ კი მეორე მოქმედებაში ბათურის ხმლის შემოტანის სცენა ვერა და ვერ აიყვანა სხვა სცენების დონემდე. ერთხელ, რიგითი წარმოდგენის დროს, სცენაზე ხმლით შემოჭრილმა ზინამ სერგო ზაქარიაძის (ქადაგი) მწერა დაიჭირა. სცენის დიდი ოსტატის გამოხედვამ გაამხნევა. დაიწყო მონოლოგი და თვალი ვერ მოაშორა სერგოს სახეს. მაყურებლისადმი შურეშეცხველი ზაქარიაძე აფასებდა ზინას ყოველ სიტყვას, რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის, რითაც რიტმს აძლევდა მსახიობს. იზრდებოდა მონოლოგის სიმძაფრე და სერგო ზაქარიაძეც ვეღარ ისვენებდა ადგილზე. მონოლოგის უკანასკნელი სიტყვები მაყურებელთა შეუკავებელმა ტაშმა შთანთქა. ეს ტაში აშკარა გამარჯვებაზე ლაპარაკობდა. და ზინამ იგრძნო, რომ ტაში სერგო ზაქარიაძესაც ეკუთვნოდა, რომელიც მისთვის თამაშობდა.

ამ დღიდან დაიწყო მათი შემოქმედებითი მეგობრობა. მას შემდეგ განუწყვეტლივ ავსებენ ერთმანეთს შესანიშნავი პარტნიორები: სერგო ზაქარიაძე და ზინა კვერენჩილაძე.

ზინა კვერენჩილაძის გმირისათვის უცხოა ჩუმი არსებობა. იგი ცოცხლობს მჩქეფარე ორმოტრიალში, წუხს, უხარა, უყვარს. ეს კი თვით მსახიობის ბუნებიდან გამომდინარეობს. მისი გმირის ხასიათი მსახიობის მეტად თავისებურ მეტყველებაში იგრძნობა, რომელიც ყოველთვის გამოირჩევა მოზღვავებული ტემპერამენტითა და გაღამებები აღტკინებით.



ასეთი იყო ზინა კვერენჩილაძის ვარინკა გ. ნასუცრიშვილის „ფიროსმანში“. ყველასაგან უარყოფილი, თბილი, სოფლელი გოგოს ყოველ მოძრაობასა თუ ფრაზაში მსახიობმა გადმოგვცა ვარინკას სულიერი სიფაქიზე, უსაზღვრო სიყვარული, თავდადება.

მშვენიერი მარგარიტათი გატაცებულმა ფიროსმანმა უარყო ვარინკას სათუთი გრძნობა, მაგრამ სიკვდილის წინ ისევ ვარინკა ევლება თავს დაუძღვრებულ ნიკალას, ისევ ის უხმობს ხალხს საშველად. ზინა კვერენჩილაძის ვარინკა მაღალი ადამიანური ღირსებების ქალია, რომლის გრძნობა უძღვრება ყოველგვარ გამოცდას.

ყოველი ახალი სეზონი ახალ ხასიათებთან შეხვედრას ნიშნავს მსახიობისათვის. ზინაც ჩვეული მოკრძალებით ეცნობა ახალ გმირებს: სოციალური უკუღმართობით დაჩაგრულ, შეყვარებულ ქალს ირინეს („ქარიშხალი“), ცხოვრებაზე გულგატეხილ ლიზის („წვიმის გამყიდველი“).

მსახიობის დაუცხრომელ ძიებას წარმატება მოაქვს. მაგრამ მას მაინც თანამედროვე ქართულ გმირთან შეხვედრა უფრო მეტად აინტერესებს. და აი, ზინაც მზიას თამაშობს გ. ხუნაშვი-

ლელა—„ბახტრიონი.“



მზია—„ზღვის შვილები.“



ლის „ზღვის შვილებში“. მზია ორ ყმაწვილს უყვარს. მის გულს კი მხოლოდ გურამი დაუფლებია. მსახიობმა მზიას სახე უშუალოდ და გულწრფელობით გაამდიდრა და სპექტაკლში გამიზნული ერთადერთი ღირიული სცენა დიდი გრძნობით ჩაატარა.

მზიას თათია მოჰყვა ოტია იოსელიანის პიესაში: „ადამიანი იბადება ერთხელ“. დაუფიქვარია თათიას ოცნებით გაბრწყინებული, ბავშვური სახე. გულწრფელი სიყვარულით ანთებული გული ათას ფერებში წარმოსახავს მომავალს. მომავალი კი რეალურად ესახება შეყვარებულებს: აი, დამამაგრებენ უმადლესს, დასახლდებიან სოფლად, ექნებათ წითელი კრამიტით გადახურული თეთრი სახლი, ეყოლებათ ბევრი შვილი... მაგ-

რამ, რა შემზარავი ხმაური აწვევტივებთ ოცნებას?

ომი!..

ომმა წაართვა საყვარელი ჭაბუკი თათიას. სევდით მოცულს, ფრთხილად მიღებული ბარათის კითხვა-და ანუგეშებს. იქ ყოველწუთს სიკვდილია მოსალოდნელი — იცის თათიამ, მაგრამ მაინც სჯერა, რომ გამარჯვებული დაუბრუნდება თავისი სისო. მწუხარებამ ბავშვური გამომეტყველება და რწმენა ვერ წაართვა ზინა კვერენჩილაძის თათიას. ის თავის ფიქრებში ებაასება ძვირფას ადამიანს და გრძნობს, რომ მის გვერდით არის, სულ ახლოს. ზინა კვერენჩილაძე მთელი სიძლიერით ჩასწვდა თათიას სულიერ სამყაროს, ააქლერა მისი ყველაზე უხილავი სიმები და გულში ჩამწვდომი, მძაფრი ფსიქოლოგიური სახე შექმნა.

რუსთაველის თეატრში მცირე დარბაზი გაიხსნა და ზინა კვერენჩილაძემ ჯერ ტურა ითამაშა გ. ნასუცრიშვილის „ჭინჭრაქში“, მერე მოუსვენარი და მოსიყვარულე ნინო ვ. როზოვის პიესაში „ვახშმობის წინ“. უკანასკნელ ხანს კი მაყურებლის წინაშე წარსდა როგორც მხატვრული კითხვის ოსტატი. მიხელო თუმანიშვილის სპექტაკლში: „პოეზიის საღამო“, ზინამ ხალხური რომანტიკული ეპოსის გმირი ეთერი გააცოცხლა მისთვის დამახასიათებელი გზნებითა და ოსტატობით.

მხოლოდ სიყვარული აცოცხლებს ზინა კვერენჩილაძის თეონას დ. გაჩეჩილაძის „ამირანში“. შავლევის ნატურფალის წაშლამ ჭკუიდან შეაყინა თეონა. მასზე ნაღველმა ხელად აქცია, მთა-მთა დადის და ეძებს შინამოსუხველ მიჯნურს.

თანასოფლელნი ცდილობენ გონზე მოიყვანონ საბრალო თეონა, მაგრამ არ ძალუძთ, რადგან თეონას შავლევის გარდა არავინ ახსოვს. ჩაესმება შავლევის ხმა და თეონასაც უმალ უბრუნდება უწინდელი მომხიბვლელობა და გონიერება. უკვდავებასათვის ძლიერი და სათუთია თეონას გრძნობა შავლევისადმი. მის რომანტიკულ სიყვარულს თან სდევს გმირული შემართება და ქალწულური სინანარაღი, უბრალოება და მშვენიერება.

სპექტაკლის წარმატება ზინა კვერენჩილაძის შესანიშნავმა აქტიორულმა თამაშმაც განაპირობა. იგი სპექტაკლის მთელი შემოქმედებითი კოლექტივის ცენტრში იყო და შთაგონებით ეძლეოდა თეონას საინტერესო სახის გამოკვეთას.

ახალ საინტერესო წარმოდგენას მოძალებული მაყურებელი აღტაცებული უკრავდა ტაშს ახალკაზრდა ნიჭიერ მსახიობს.

ასე იყო თითქმის ყოველდღე.

ერთხელ კი, რიგითი სპექტაკლის შემდეგ, მსახიობის საკაზმულოს კარზე მორიდებული კაკუნი გაიხმა. კარი გაიღო და ზინამ თავის რეჟისორს მოჰკრა თვალი.

კარებში ჭადარაწერული მხნე მამაკაცი იდგა და იღიმებოდა.

— ზინა...—უთხრა და გადაჰკოცნა, — შევცდი...

ზინამ სიხარულით ჩამოართვა რეჟისორს გამოწვდილი მიხაკები.

რეჟისორს მეტი აღარაფერი უთქვამს; მისი მოხვლა თავისთავად გამარჯვება იყო, ახალკაზრდა მსახიობის გამარჯვება.




ფედოსია გუგუშვიძე

მას არ უნახავს ლამაზი ბავშვობა, მკაცრმა ცხოვრებამ წაართვა იგი. უმამო ოჯახში მხოლოდ დედა ზრუნავდა 16 შვილზე. ორი წლის ფენიაც ალერსსა და ღიმილს სთხოვდა გულდარდინა დედას.

1909 წელს უკიდურესმა მატერიალურმა გაჭირვებამ 9 წლის ფენია გუგუშვიძე აიძულა შინამოსამსახურედ დამდგარიყო მდიდრის ოჯახში. 1915 წლიდან კი თბილისის სამხედრო ლაზარეთში სანიტრად დაიწყო მუშაობა. სამტრედიელი ქალიშვილი, აქ პირველად ჩაება პოლიტიკურ წრეში, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული პირველ მსოფლიო ომში დაჭრილ ჯარისკაცებთან.

ფენია გუგუშვიძე გულდასმით განუმარტავდა დაჭრილ მეომრებს ლენინის მოთხოვნას ომის შეწყვეტის შესახებ. პოლიტიკური წრის პირველი დავალება ფენიამ პირნათლად შეასრულა. მაგ-



რამ პოლიცია ფხიზლობდა. წრის მუშაობა გამოუმდევანებულ იქნა. მისი რამდენიმე წევრი დააპატიმრეს. წრის სხვა წევრებთან ერთად ფენია იძულებული იყო გაქცეულიყო თურქეთის ფრონტზე — სარაყამიშში, სადაც კვლავ აგრძელებდა არალეგალურ მუშაობას.

თურქეთის ფრონტზე ჯარების დაშლის შემდეგ ფენია თბილისში ბრუნდება და მუშაობას იწყებს მომვლელად სამხედრო ლაზარეთში.

1918, 1919, 1920 წლები მძიმე ეკონომიური წლები იყო. ბატონობდა შიმშილი, მწუხარება, დამცირება. ფენია გუგუშვიძე ერთი იმ მრავალთაგანი იყო, ვინც სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდა ნათელი და ბედნიერი მომავლისათვის.

პროკლამაციების გაგრძელებისა და სააგიტაციო მუშაობისათვის 1919 წელს ფენია დააპატიმრეს.

დადა 1921 წელი, საქართველოს მშრომელთა

ნანატრი წელი. თბილისის საოთქმავლო დეპოს რიგით მუშას — ფენია გუგუშვიძეს ირჩევენ მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოს დეპუტატთა IX ყრილობის დელეგატად.

„დარწმუნებული, რომ ლენინს შეგვხვდებოდი, — იგონებს ფენია, — გული სიხარულით მეფესობდა და ვერ ვისვენებდი, ვჩქარობდი მოსკოვში ყრილობაზე წასვლას. აბელ ენუქიძის დახმარებით მოეწყო ჩვენი შეხვედრა ვ. ი. ლენინთან და მისა ცხაკაისთან. დიდმა ბელადმა მშობლიური სიყვარულით მიგივიღო. მას ძლიერ აინტერესებდა საქართველოს ამბები და კომუნისტების მუშაობა, უბრალოდ გვესაუბრებოდა და გვარბობდა, თუ რა საკითხებზე გაგვემსახვილებინა ყურადღება, როგორი სიფრთხილზე გამოგვიჩინა ამა თუ იმ საკითხის გადაჭრაში. ბელადთან შეხვედრა და მისი მშობლიური დარიგება სამუდამოდ დამრჩა მეხსიერებაში.“

ვ. ი. ლენინთან შეხვედრამ ახალი ძალა შემატა ფენია გუგუშვიძეს. იგი აქტიურად ჩაება პარტიის რაიკომებთან არსებულ მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებების მუშაობაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი 1926 წელს ფენია გუგუშვიძეს აგზავნის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგედ. ერთი წლის შემდეგ ფენია წარჩინებით ამთავრებს ქალთა შორის მომუშავეებს სამთვიან კურსებს და ერთხანს მუშაობს საქართველოს კ (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგედ, შემდეგ საქართველოს კ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში — ქალთა განყოფილების გამგედ, საკავშირო კ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში — აგტიმასიური განყოფილების ინსტრუქტორად ქალთა შორის.

1933 წელს საკავშირო კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მობილიზაციით ფენია გუგუშვიძეს აგზავნიან ბათუმში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწედ ქალთა შორის მუშაობის დარგში. აქვე აირჩიეს პარტკომის მდივანად.

წარმოუდგენლად ძნელი იყო იმ დროს აჭარელ ქალთა შორის მუშაობა, ძნელი იყო ვინმეს ეთქვა, რომ აჭარელ ქალს მოეხსნა ჩადრი, მაგრამ ფენია გუგუშვიძე არ შეუშინდა აჭარელ მამაკაცთა მუქარას. ყველა კრებაზე, ყველა თაბიბიზე გაბედულად მოუწოდებდა აჭარელ ქალებს: მოიხსენით ჩადრი, შეხედეთ ცხოვრებას პირდაპირ, უჩადრო! და რა დიდი იყო სიხარული აგტიტატორი ქალისა, როცა ხედავდა ენერგიული მუშაობის კეთილ ნაყოფს: აჭარელი ქალები იხსნიდნენ ჩადრს, ივიწყებდნენ წარსულს, ემებოდნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მთელ რიგ ხელმძღვანელ პარტიულ და პროფკავშირულ სამუშაოზე უმუშავია ფენია გუგუშვიძეს. ამ დამსახურებისათვის მას მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები: „საპატიო ნიშნის“ ორდენი და მედლები.

კომუნისტური პარტიის წევრი 1922 წლიდან, ფედოსია (ფენია) პავლეს ასული გუგუშვიძე ამჟამად პერსონალური პენსიონერია. თავის საყ-

ვარულ პარტიულ სამუშაოზე კვ. მანუქ კინე მსოფლიო, ასრულებს პარტიულ, პროფკავშირულ და კულტურულ-საზოგადოებრივ დავალებებს. არის საქართველოს კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის შტაბ-გარეშე ინსტრუქტორი, სახვარობის და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წევრი, ვაჭრობის მუშაკთა კულტურის სახლის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.

ზაირა აბეხაძე



ელენე პეტიაძე


ცხოვრება უჭირს მრავალშვილიანი ოჯახის მამას. თვიდან თვემდე ლუკმაპურის საფასურს ძლივს შთოულობს; ხან თბილისის ადელმანოვის ქარხანაში მუშაობს, ხან სურამელი ვაჭრების ქარგალია. მაგრამ მათი ცხოვრება მაინც უცვლელი რჩება. მერე ისევ მშობლიურ სოფელში, ბრეძაში სახლდება და ვაჭარ როსტომოს ემსახურება...

მშობლები ახერხებენ შვილებს წერა-კითხვა მაინც ასწავლონ; სასკოლო ასაკს გადაცილებული ელენე და მისი უმცროსი და სურამში მიჰყავთ, სასოფლო სკოლაში აბარებენ, ბინად ნათესავთან ტოვებენ.

გაჭირვებაში ამთავრებს ელენე ორკლასიან სკოლას. საშუაის გიმნაზიაში ოცნებობს სწავლის გაგრძელებას, მაგრამ ოჯახს ამის საშუალება არა აქვს, ამიტომ გიმნაზიის ნაცვლად ის ტრაქტორის სკოლაში შედის, რომელიც კერძო პირს (ვინმე თარხნიშვილის ქალს) ეკუთვნის.

სკოლის ადმინისტრაცია ხშირად მართავს ფასიან საღამოებს ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ, აგროვებს ფულად შეწირულებებს ობოლ ბავშვთა დასახმარებლად. ელენე აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ ღონისძიებების ჩატარებაში და სწორედ აქედან იწყება მისი საზოგადოებრივი მუშაობით დანიტრეკესება. ის პარალელურად სწავლობს მოზრდილთა საღამოს სკოლაში.

1919-1920 წლებში სურამში ჩამოყალიბდა ქალთა საქველმოქმედო ორგანიზაცია „მანდილოსანი“. ამ ორგანიზაციის თაოსნობით ეწყობა ფასიანი საღამოები „ფონჯანი ჩაის“ სახელწოდებით და სხვა გართობა-სანახაობანი. შემოსული თანხა ხმარდება ღარიბთა ოჯახებს და



უპატრონო ბავშვებს. ამ წამოწყებათა მოთავე ელენე მელაძეა.

და აი, 1921 წელს სულ სხვა ცხოვრება მოიტანა. ვიწრო ჩარჩოებში მომწყვდევული სურამის ქალთა ორგანიზაცია გადაკეთდა ქალთა მასობრივ წრედ, სადაც იმართება ლექცია-მოსხენებები, საუბრები საინტერესო თემებზე. ამ წრეს სათემო კომიტეტის დავალებით ელენე მელაძე ხელმძღვანელობს. ქალთა წრეში ჩაბმულია სურამის მშრომელი ინტელიგენცია: მასწავლებლები, ექიმები, მომსახურე ქალები. მათი დახმარებით ელენე ეწევა პოლიტიკურ-მასობრივ მუშაობას სოფლის გლეხ ქალთა და ჩამორჩენილ ებრაელ ქალთა შორის.

ამავე პერიოდში სურამში დაარსდა კომკავშირის უკრედი, გაიხსნა კლუბი, სამკითხველო. ახალგაზრდობა ფართოდ ჩაება ახალი ცხოვრების ფერულში. ელენე ერთერთი ხელმძღვანელთაგანია. იგი სოფლებში ატარებს კულტურულ-საგანმანათლებლო და ანტირელიგიურ საღამოებს, რაზმავს გლეხობას პარტიისა და ხელისუფლების გარშემო.

როცა ელენე ალკკ ორგანიზაციის რიგებში მიიღეს, ის სოფელ ცედაში გაგზავნეს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლის მასწავლებლად. ორი წელი მუშაობდა ელენე იქ. ენერგიული მუშაობისათვის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ იგი წიგნებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

სურამში იმ დროს თითო-ორთა საწარმოდაწესებულება იყო. მთავრად საეჭუო ადამიანები ხელმძღვანელობდნენ. ადგილობრივი ბოძოლები ყველა საშუალებას მიმართავდნენ, რომ დაწესებულებებში კომუნისტები ან კომკავშირელები არ მომხდარიყვნენ. კომკავშირელების მთელი არმია უმუშევარია, ელენეც სხვებთან ერთად შევიწროებას განიცდის.

მელაძეების ხუთსულიანი ოჯახი უკიდურეს გაჭირვებაშია, მამა, მძიმე ავადმყოფი, ლოგინა და ჩავარდნილი. ელენე არ უშინდება სიძნეელებს. ის მთელ რიგ საზოგადოებრივ დავალებებს ასრულებს: არის სათემო საბჭოს დეპუტატი, თემადმასკომის პრეზიდიუმის წევრი, ალკკ სათემო კომიტეტის წევრი, კომკავშირის უკრედის მდივანი...

მალე ელენე კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა. ამავე წელს, ქალთა მასების საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმის მიზნით, ელენე მელაძის ინიციატივით სურამში გაიხსნა ქალთა სამკერვალო. ეს წამოწყება მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილებამ, რომელსაც ვარო ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა. ვაროს დახმარებით ელენემ მიიღო ქსოვილები, რაც იმ დროს დეფიციტს წარმოადგენდა. შემდეგ ბავშვის და ქალის მზატანსამკმელი კოოპერატივში იყიდებოდა. სამკერვალომ დიდი როლი შეასრულა გლეხი ქალების პოლიტიკურ აღზრდაში.

მომდევნო წლებში ელენე მელაძე ამთავრებს კომუნისტურ უნივერსიტეტს და მას აგზავნიან საქართველოს კპ(ბ) საშურის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგედ. ქალთა შორის მუშაობის ერთერთ საბრძოლო საქმედ მაშინ ითვლებოდა

ქალთა შრომის ფართოდ დანერგვა საკომუნურ-ნეო მშენებლობაში. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილებამ რესპუბლიკური კონკურსი გამოაცხადა. კონკურსში გამარჯვებული გამოვიდა ხაშურის რაიონი და გარდამავალი დროში ელენეს ჩააბარეს.

შემდეგ წლებში ელენე მუშაობს პარტიის საშურის რაიკომის ინსტრუქტორად. პარტიის ინსტრუქტორის გამგედ, რაიკომის მესამე მდივანად, ამჟამად ელენე მელაძე პენსიონერია. მთავარ კვლავ ახალგაზრდული ენერგიით ასრულებს საზოგადოებრივ და პარტიულ დავალებებს.

ირმა ჩოფიაშვილი

ახლო წარსულიდან

ახალი მოქმედების გზის ქალთა კომუნისტური უნივერსიტეტი

ამას წინათ აღმოჩენილი იქნა ერთი წერილი, რომელიც ოღონდ ივანეს ასულ ერისთავისას გაუგზავნია გორის მახრის სოფელ ხელთუბნის მცხოვრებ ზაქარია რევაზის ძე თუმანიშვილისათვის. იგი ეხება გორის ქალთა პროგიმნაზიას, რომელიც ხანგრძლივი წინასწარი სამზადისის შემდეგ გაიხსნა 1881 წლის 30 აგვისტოს.

ქალთა პროგიმნაზიის გახსნას დიდი კმაყოფილებით შეხვდა საზოგადოება. გაზეთი „კავკაზი“ იმავე წლის 30 აგვისტოს ნომერში აუწყებს საზოგადოებას, რომ დაგვირგვინდა მრავალი ჩვენი მოღვაწის შრომა და ვაჟთა სასწავლებლის გვერდით გაიხსნა ქალთა პროგიმნაზია.

ამავე წერილიდან ირკვევა, რომ გორის ქალთა პროგიმნაზია სასახლოდ ახორციელებდა მოწინავე ქართველი საზოგადოების სურვილს — აღეზარდათ ქართველი ქალები პატრიოტული სულისკვეთებით.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას სათავეში ედგა მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანი, ამ პროგიმნაზიის პირველი მასწავლებელი, ხოლო მისი დაპატიმრების შემდეგ — მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნ. ლომოური,

მთელი ღონისძიებები იქითვე იყო მიმართული, რომ საქართველოში საქალებო სკოლას გაეზარდა განათლებული ქალი. 1887 წლის 2 აპრილის ვახუთი „ივერია“ წერდა: „გორიდან გვეწერენ: მარტის 25-ს გორის ქალების პროგიმნაზიაში იყო „სალიტერატურო დილა“. წაიკითხეს ქართულად, სომხურად, რუსულად ლექსები, იყო აგრეთვე სიმღერები ამავე ენებზე. ქართულად ეკესი ლექსი წაიკითხეს. საზოგადოების ყურადღება მიიქცია მოსწავლე ქალმა ნინო ბურჯანაძისამ, რომელმაც საუცხოოდ წაიკითხა გრ. ორბელიანის ლექსი „განთიადი“. საგანგებოდ იგალობეს ქართულად ბარათაშვილის „არავიკი“. ჩვენდა სასიამოვნოდ, უნდა ვთქვათ, რომ სხენებულს „სალიტერატურო დილაზე“ ქართველმა მოსწავლე ქალებმა მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანეს როგორც ქართულს ენაზე კითხვა-გალობით, აგრეთვე რუსულზედაც“.

პროგიმნაზიის მზრუნველთა საბჭო ცდილობდა ქართული ენის სწავლება საკვალდე-

ბულო საგნად ყოფილიყო აღიარებული. „ეს არის დამოკიდებული კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველის წარდგენილობაზე განათლების მინისტრის წინაშე. მზრუნველთა საბჭო იხმარებს ყოველს კანონიერს ღონისძიებას, რათა ეს საქმე მოეწყოს ისე, როგორც სასურველია ყოველი განათლებულის ქართველისათვის. მაშასადამე, დიდად სასურველია, რომ ეს სასწავლებელი წარმატებაში შედიოდეს...“ წერდა ო. ერისთავისა.

წერილის ავტორი ენერგიულ და იმ დროის შესაფერისად განათლებულ ადამიანად გვევლინება. იგი იღწვის ამ სასწავლებლის შემდგომი წარმატებისათვის, „მაგრამ, საუბედუროდ, დღეს საქმე ისეა დაყენებული, რომ მის წარმატებაზე კი არა, მის არსებობაზე უნდა ვიფიქროთ. უნდა ვეცადნეთ ყოველის ღონისძიებით, რომ ეს ერთადერთი ჩვენი საქალებო სასწავლებელი არ დაიხუროს!... სხვა არა იყვის რა, დიდი სირცხვილი იქნება ჩვენთვის, რომ ამოდენა მასობრივი ერთი სასწავლებელი ვერ შევიწინაოთ...“

წერილის ავტორს ჩინებულად ესმის დედის დანიშნულება შვილის აღზრდის საქმეში. „ვგონებ კი, — წერს იგი, — რომ ქალების სწავლა-განათლებას უფრო მეტი შრომა, ფიქრი და მზრუნველობა ეჭირება, რადგან დედანა და დამოკიდებული პირველ-დაწყებითი სწავლა და აღზრდა მომავლის თაობისა. თუ დედა კარგია, მაშინ შვილების აღზრდას და გონების განვითარებას უთოდ მტკიცე და ქეშმარიტი საფუძველი მიეცემა... ვაი იმ საბრალო ყმაწვილს, რომლის ბუნება უგუნურს და გაუნათლებელს დედას ჩავარდნია ხელში!“

„გთხოვთ ბატონო ჩვენო, — წერს ზ. თუმანიშვილისადმი წერილში ო. ერისთავისა, — შესწუხდეთ და ამ კეთილ საქმისათვის თქვენს ნაცნობებს, მეგობრებს საზოგადოებაში შეაგროვოთ ყოველივე, რაც კი გამოსადეგი იქნება მოხსენებული საქმისათვის და რის შემოწირვასაც კი ინებებენ საზოგადოების პატივმცემელი წევრნი...“

ჩვენ მიერ აღმოჩენილი წერილი საინტერესო დოკუმენტია გორის ქალთა პროგიმნაზიის ცხოვრების შესწავლის თვალსაზრისით.

3. ჰოვოლაძე



კაბრიცია ხელბი

მ ო ტ ხ რ ო ბ ა

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

— დადგება დღე, შვილიყო, როცა შენ ძალიან იამაყებ მამაშენით, — მეუბნებოდა დედა, რომელიც ჩემს წინ იდგა გულზეხელდაკრეფილი და იღიმებოდა.

დედა ხშირად ლაპარაკობდა ჩემთვის გაუგებარ საგნებზე, მაგრამ მე მაინც უფრადლებით ვუსმენდი და ინსტიქტურად ვგრძნობდი, რომ იგი რაღაც მეთისმეტად მნიშვნელოვანს ამბობდა.

— დადგება დღე, შვილიყო, როცა შენ არ შეგრცხვება პირდაპირ შეხედო მზეს, ქუჩაში იარო ისე, რომ თავი არ იგრძნო ნაცემი ძალღვიით. მამაშენი და მისი მსგავ-

სნი იბრძვიან შენი უკეთესი მომავლისათვის. დადგება დღე, როცა შენ ისევე იამაყებ მამაშენით, როგორც მე ვამაყობ.

დედა იღიმებოდა, ოთახში დაფუსფუსებდა და წყნარად ღიღინებდა სევდიანად გაბმულ სიმღერას.

მამა და დედა შვკანიანები. მე ხუთი წლისა ვიყავი, მაგრამ უკვე მესმოდა, რომ მეც შვკანიანი ვარ.

მე პატარა, ახლადფეხადგმული და მყავდა. ისიც შვკანიანია. მას აქვს ძალიან თეთრი კბილები და მოციმციმე თაფლისფერი თვალები.

მე არ მომწონდა, როცა თეთრკანიანი ბავშვები შემომაშტერდებოდნენ და მემანჭებოდნენ, ანდა როცა უფრო მოზრდილები მომვარდებოდნენ ძახილით: „ზანგო!“ „მუნაინო!“

სწორედ მაშინ გავიგე, რომ არის ბევრი რამ, რისი გაკეთების უფლება ჩვენ, შვკანიანებს, არა გვაქვს.

„მე მინდა, ძალიან მინდა მქონდეს თეთრი კანი! მამაშეციერო, აქცეთ ჩემი კანი თეთრად!“ — ჩუმად შევსთხოვდი ღმერთს, როცა მარტო ვრჩებოდი.

მამაჩემი ზორბა კაცი იყო. ხელბიც დიდი ჰქონდა. ზოგჯერ ვიჭერდი მის ხელს, თითს ვაყოლებდი ნების ხაზებს, თითქოს ეს ხაზები გზები იყო, მე კი — ავტომობილა.

მამას მეტყველი თვალები ჰქონდა. როცა მოციმციმე თაფლისფერ თვალებში შევაჩერდებოდი, ვხვდებოდი რაზე ფიქრობდა იგი. მამა მუდამ დანადგლიანდებოდა ხოლმე, როცა ფანჯარაში გაიხედავდა.

— მამა, რატომ ნადგლიანდები, როცა ფანჯარაში იხედები? — ვეკითხებოდი მე.

იგი იღიმებოდა. მისი ცრემლმორეული თვალები ორ პაწაწინა ტბას ჰგავდა.

— ფანჯარა კი არ მანადგლიანებს — უბრალოდ, ვფიქრობ, — მპასუხობდა იგი და ხელს მისვამდა ხუჭუჭა თმაზე.

— ნულა იფიქრებ, თუ ეს ნადველს გგვრის? — ვამბობდი მე.

— შენ მართალი ხარ, ჩემო პატარა, — მეტყუოდა მამა და თავის დიდ, ღონიერ ხელებში იმწყვდევდა ჩემს პატარა ხელებს, — სინდისს ვვიცავარ, შენ სავსებით მართალი ხარ.

მე ვამაყობდი მამის ამ სიტყვებით. ხანდახან მამა ხმალაბლა ელაპარაკებოდა დედას. ზოგჯერ იგი აღგზნებული იყო, ცეცხლს აფრქვევდა მისი თვალები. ლაპარაკის დროს მამა გამუდმებით იქნევდა ხელს. დედა უსმენდა მას და იღიმებოდა.

დედა უოველთვის ერთნაირი იყო — ძლიერი და მშვიდი.

მამა სამუშაოზე მიდიოდა მზის ამოსვლისთანავე, უკან ბრუნდებოდა, როცა მზე ჩადიოდა. როგორც კი გავიგონებდით ხეივანის ხრეშზე მამის ნაბიჯების ხმას, მე და სუზო კარს უკან ვიშალებოდი. მამა ვერ შეგვაბჩნევდა, ვიდრე სუზო თავისი ბრყვეული სიცილით არ გასცემდა თავს. ამაოდ ვემუდარებოდი ჩუმად მდგარიყო, მაინც უოველთვის ხმაურს ატეხდა. დედა იტყოდა ხოლმე: სუზიმ არ იცის დამალობნანს თამაშიო.

რამდენი რამ არ ვიცოდით მამის! როცა მამა სუზის სიცილს გაიგონებდა,

სწრაფად შემობრუნდებოდა, ორთავეს ხელში აგვიტაცებდა, მალა, კერამდე შეგვისროდა და მერე ჰაერშივე გვიჭერდა, ჩვენ სიხარულისაგან ვეყოლიდით და ვიხიქებდით. მაშინ ყველანი ისეთი ბედნიერები ვიყავით! ვახშის შემდეგ დედა გვიმღერებდა ხოლმე.

სუზი მამას მუხლებზე დაუკვებოდა, ცხვირს ბაკენბარდებზე მოუხახუნებდა და ხელს ხან მამას წაავლებდა სახეზე, ხან თავის ღოყაზე იკიდებდა.

მე დედის ფერხით ჩავჭიდებოდი. იგი კერავდა, თან მღეროდა. მე ყოველთვის როლი მესმოდა სიტყვების აზრი, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ დედას ლამაზი ხმა ჰქონდა. მამა თვლებს ხუჭავდა, იღიმებოდა და ისე უსმენდა. მამის მხარზე თავმიყრდნობილ სუზის კი ჩაეძინებოდა. მეც მომეროდა ხოლმე ძილი.

— რატომ ყველანი თეთრკანიანად არ გავაჩინა ღმერთმა? — ვკითხებოდი დედას, როცა იგი დასაძინებლად მაწვევდა, — ეს უსამართლობაა!

— გული კი ყველას ერთნაირი ჩავვიდვა, — მპასუხოვდა დედა, — გონებაც ერთნაირი გვაქვს.

მე ძალას ვატანდი თავს მიმხვდარიყავი ნათქვამს.

იყო ხოლმე დღეები, როცა სრულიად მავიწყდებოდა ეს ისტორია კანის ფერის შეცვლის. მაგრამ ყოველთვის აღმოჩნდებოდა ვიღაც ან რაღაც, რაც კვლავ მომგაგონებდა ამ ამბავს. ისევე ვიწყებდი შფოთვის იმის გამო, რომ შავკანიანი ვარ და გულმოდგინედ შევზოვდი ღმერთს თეთრკანიანად ვეპყიერებოდი. ერთხელ მომეჩვენა, რომ რაღაც უჩვეულო რამ ხდებოდა.

მამა სამუშაოდან ჩვეულებრივად ბრუნდებოდა, ისალიდებდა და ისევე უკან მიდიოდა. „მას კრება აქვს“, — გვეტყოდა დედა შენაქტირბინებული სახით. ახლა იგი მამასავით ნაღვლიანად იყურებოდა ფანჯარაში და ხელებს ისე ისრესდა, თითქოს სციოდა.

მე დედასთან მივიდიოდი, ვცდილობდი როგორმე გაეღიმა. არ მიყვარდა, როცა მამასა და დედას ნაღვლიანებს ვხედავდი. დედა ხელებს შემომხვევდა და გულში მაგრადა ჩამიკრავდა.

— დადგება დღე, როცა შენ იამაყებ მამაშენით. იგი დიდებულ საქმეს აკეთებს სხვა მამებთან ერთად. ამას მამაშენი თქვენთვის სჩადის, რომ შენ და სუზი ბედნიერები იყოთ, როცა გაიზრდებით.

მამას ძალიან დაღლილი სახე ჰქონდა. ერთხელ მომეჩვენა, რომ იგი თეთრი ხდებოდა. „ალბათ, ღმერთმა ინება დაეჯილდოებია მამა იმისათვის, რომ ამდენს შრომობდა და ასე კარგი იყო“. — გადავწყვიტე მე.

— მამა, — ვუთხარი მე, — შენ თეთრი ხდები. დედა, აბა შეხედე! — და მამის თაზზე მივიუთითე.

— მართლა თეთრდები, — წამოიძახა დედამ სიცილით. მამასაც გაეცინა.

— ნუ დაიღლი პატარა თავს შავკანიან-

ბისა და თეთრკანიანების ისტორიით. ყოველივე ამას არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება მაშინ, როცა შენ გაიზრდები. მთავარია ის — კარგი იქნები თუ ცუდი.

მე ვერ მივხვდი რისა თქმა სურდა ამით მამაჩემს. ჩემთვის ეს მეტად რთული იყო.

ერთხელ ხეივანის ხრეშზე მამის ფეხისხმა გავიგონე. მე და სუზი გავიქეციით კარხუკან დასამალავად. დედა ქვაბში კერძის რევას შეუღვა, რომელსაც გემრიელი სუნი უდიოდა.

— ჩუმა! — წავჩურჩულე სუზის.

სუზიმ მომაპყრო მამასავით თაფლისფერი თვლები და ჩემსავით გაიმეორა: „ჩუმა!“

ჩვენ ველოდით, ველოდით.

მერე თითქოს ვიღაცამ მთარახი გაატყლავუნაო, ისეთი ხმაური მოისმა. ზედ მამის ყვირილიც გავიგონე. ამ ყვირილისაგან მე ტირილი მომინდა.

კარის მინა ზრიალით გადავარდა დერეფანში.

ხმაურზე დედა გამოვარდა. თავზარდაცემულს, უჩვეულოდ გაგანიერებოდა თვლები. მან ჩვენ ვერც კი შეგვაშინა და მამასაკენ გაიქცა ხეივანში.

შეშინებულმა, სუზის ხელი ჩავჭიდე და დედას გავედევნეთ. მამა ხეივანში იწვა. მე ვერ ვხედავდი მის სახეს. დედა ხმამალა ყვიროდა.

მე არასოდეს არ მინახავს დედა ატირებული. მეც ატირდი. მინდოდა, როგორც ყოველთვის, მამა შინ შემოსულიყო, დედას კი ემღერა.

ხეივანში თავი მოიყარა ხალხმა. მე მესმოდა მათი ლაპარაკი. მივხვდი, რომ თეთრკანიანმა მამას თოფი ესროლა, მაგრამ იმაში ვერ გავრკვეულიყავი, რატომ არ სურდა თეთრ კაცს, რომ ჩვენ ბედნიერები ვყოფილიყავით.

ვიღაც კაცმა, რომელიც მე ერთხელ უკვე მყავდა ნახული, სუზი ხელში აიყვანა, მე ხელი ჩამკიდა და წაგვიყვანა.

— მამა, მამა! წავიდეთ! — იძახდა სუზი და პაწია ხელებს იშვერდა, — წავიდეთ, მამა!

მე ისევე ავტირდი. ვიცოდი, რომ მამა აღარასოდეს არ მოვიდოდა.

მე ახლა წამოვიზარდე და ყველაფერი მესმის. უკვე აღარ ვემუდარები ღმერთს მომცეს თეთრი კანი. მე ვიცი, რომ მამაჩემისა და მის მსგავსთა წყალობით, როცა გავიზრდები, კანის ფერს მნიშვნელობა აღარ ექნება. მთავარი ის არის — კარგი ვიქნები თუ ცუდი.

— დედა, — ვუთხარი ერთხელ დედაჩემს, რომელიც ფანჯარასთან იდგა და ხეივანს გაჰყურებდა, — ჩვენ ძალიან ვამაყობთ მამით.

დედამ ორივეს შეგვხედა, თვლები ხელით მოიწმინდა და ღიმილით მიპასუხა:

— ვიცი... მე ისიც ვიცი, რომ თქვენი ცხოვრება გაცილებით უკეთესი იქნება.

„ქენშინი მირა“ № 2, 1964 წ




ამ ბერძენი ბავშვის საოცრად გამბადარი სხეული ცხადყოფს იმას, თუ როდენ შემზოლობს იგი.



ორანში ათასობით არის ასეთი ბავშვი. მათ მომავლის არავითარი იმედი არა აქვთ.

ბავშვთა შრომის ექსპლოატაცია, რასაც ფართოდ მიმართავენ კაპიტალის ქვეყნებში, დამლუბველად მოქმედებს ნორჩების ორგანიზმზე. სურათზე: სამხრეთკორეელი ბავშვები.





საზოგადოებრივი მუსიკის როლი

ამ ნომრიდან ჩვენი ჟურნალი ხსნის ახალ განყოფილებას: „საზოგადოებრივი მუსიკაზე“. ამ საუბრებში თქვენ გაცნობთ მუსიკალურ ჟანრებსა და ფორმებს, გამოჩენილი კომპოზიტორებისა და მუსიკოსების ცხოვრებასა და შემოქმედებას, გაცნობთ საბჭოთა და თანამედროვე უცხოური მუსიკალური კულტურის მიღწევებს, ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანსა და საინტერესო თეატრალურსა და საკონცერტო ცხოვრებას.

„საუბრები მუსიკაზე“ სრულიად არ ნიშნავს განყენებულ სჯა-ბაას: აქ წარსული მჭიდროდ დაუკავშირდება აწმყოს, ისტორია — თანამედროვეობას. ისე, რომ ჩვენი მუსიკალური ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა არ დაგვრჩეს ჟურნალის გარეშე.

ბისაგან შესდგებოდა. აქ ქვეყნის მისი სიმფონიები, ოპერა, კამერული ნაწარმოებები. და ინტერესი ამ კონცერტებისადმი უდიდესი იყო. სრულ არსებობს უკვე მცნება: საბჭოთა მუსიკალური კლასიკა რომელიც საზოგადოებრივი კლასიკა. მისი თად, გასულ წელს, ჩეხოსლოვაკიაში, ერთერთ მუსიკალურ ფესტივალზე დაიდგა პროკოფიევის ყველა ოპერა. ამ დღეებსაც ასე უწოდეს: „პროკოფიევის მუსიკის კვირეული“, ხოლო ედინბურგში (ინგლისი) ტრადიციულ მუსიკალურ ფესტივალზე, რომელიც ყოველწლიურად იმართება, აქვეყნდა შოსტაკოვიჩის მუსიკა.

ლენინგრადის საშინელი ბლოკადის დღეებში, როდესაც იგი გმირულად უმკლავდებოდა მტერს, მშვერ, ცივ ქალაქში, ერთერთ ჩაბნელებულ სახლში ცხოვრობდა თანამედროვეობის უდიდესი კომპოზიტორი დიმიტრი შოსტაკოვიჩი. აქ წერდა იგი თავის ცნობილ მეშვიდე სიმფონიას — მღელვარე მოთხრობას იმათზე, ვინც ასე იცავდა თავისუფლებას, დამოუკიდებლობას. სიმფონიას ხალხმა „ლენინგრადის სიმფონიას“ შეარქვა. ახლა იგი საბჭოთა მუსიკის ყველაზე პოპულარული ნაწარმოებია. უდიდესია მისი შემოქმედებითი ძალა. მისი ნათელი, ლირიკული მელოდია დასაწყისში ადამიანების მშვედობიან ცხოვრებას გვიხატავს. რა საშინელებით შემოიჭრება ამ სიმფონიაში გამიშვლებული, ცივი, მარშისებური ტლანქი თემა, თემა ფაშისტებისა, რომელიც ამსხვრევს ყოველივეს, რაც წინ აღუდგება. ამ თემის მოსმენისას უმაღვე წარმოგიდგებათ თვალწინ ჩვენი მიწაყალზე დამპყრობელთა შემოჭრის სურათი. გრძობთ, რომ ისინი მოდიან, თანდათან გიახლოვდებიან, ერთი წუთიც და თქვენს სახლში შემოიჭრებიან! აი, საბჭოთა მუსიკის ერთერთი საუკეთესო ნაწარმოების შემოქმედებითი ძალა. მრავალი ასეთი ნაწარმოები საბჭოთა მუსიკაში საჭიროა მხოლოდ უფრო დაახლოება მათთან. რასაკვირველია, ყველა ნაწარმოები თავიდანვე როდი ხდება პოპულარული. რევაზ ლადიძის „სიმღერა თბილისზე“ საქართველოს ელვის სისწრაფით მოედო, რამდენად უფრო სწრაფად, ვიდრე, თუნდაც, ანდრია ბალანჩივაძის ან შალვა მშველიძის სიმფონიური ქმნილებანი. ეს ამბავი საესებით ბუნებრივია: სიმღერა ფორმით პატარაა, უბრალო, წყობით სადა და უფრო ადვილად ასათვისებელი. სიმფონია, კონცერტი ან ოპერა უფრო რთული ნაწარმოებიაგან შესდგება. და იმისათვის, რომ ისინიც ასე პოპულარული გახდნენ, საჭიროა მათი ხანგრძლივი პროპაგანდა, რათა მსმენელს ნაწარმოების ათვისების მაღალი კულტურა გამოუმუშავდეს.

არსებობს აზრი, თითქმის მუსიკა ხელოვნების იმდენად რთული სახეობაა, რომ მას ყველა ვერ გაიგებს და ვერ ჩასწავდება. თუ ამ დებულების პირველ ნახევარს გავიზიარებთ, მეორეს ვერაერთარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით.

დიხს, მუსიკა ხელოვნების ერთერთი ურთულესი ნაირსახეობა, რადგან მისი აღქმა და მოკიდებულება მხოლოდ და მხოლოდ ბგერათა ემოციებზე. მუსიკაში ყოველივე სმენით აღქმას ეყრდნობა, ყოველგვარი შინაარსი ბგერათა სხვადასხვანაირი შეხამებით აისახება, ამიტომ მუსიკალური ნაწარმოების შინაარსის აღქმა არასდროს არ არის აბსოლუტურად ზუსტი, კონკრეტული. თითოეული მსმენელი ამა თუ იმ ნაწარმოებს გაიგებს ოდნავ თავისებურად, მითუმეტეს, თუ ნაწარმოებს არ გააჩნია ლიტერატურული ქვეტექსტი, კონკრეტული სიუჟეტი, ან პროგრამა, თუ ეს ნაწარმოები, როგორც მუსიკოსები იტყვიან ხოლმე, ეკუთვნის „სუფთა მუსიკის“ (ე. ი. არაპროგრამულ) ჟანრს. ამრიგად, მუსიკაში უდიდესი როლი ენიჭება სუბიექტურ საწყისს, რომელიც განუზრუნვლად დაკავშირებულია თითოეული მსმენელის გარკვეულ ემოციებთან.

მაგრამ, ალბათ, ხელოვნების არცერთ სახეს არ გააჩნია ისეთი მდიდარი გამომსახველობითი საშუალებანი, როგორც მუსიკას, არცერთ დარგს არ გააჩნია შემოქმედების ამგვარი იშვიათი მომჯადოებელი ძალა. რამდენი თქმულება, ლეგენდა შემოუნახავს წარსულს მუსიკის სასწაულებრივ ძალაზე, რომელიც ათვინიერებდა ყველაზე საშინელ მხეცებს და ურჩხულებს, ძალას მატებდა ადამიანებს.

„რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან, მისვე ხმისა სიტკობსაგან, წყლით ქვანიცა გამოსხდიან, ისმენდიან, გააკვირიდიან, რა ატირდის, ატირდიან; იმდერს ლექსთა საბრალთა, ღვარისაებრ ცრემლი სდიან“...

წერს დიდი შოთა „ვეფხისტყაოსანში“. ჩვენამდე მოაღწია ბერძნულმა თქმულებამ ორფეოსსა და ამფიონზე, რომლებიც შესანიშნავი სიმღერით ათვინიერებდნენ მხეცებს, განზე სწევდნენ უზარმაზარ მთებს, და აშენებდნენ ულამაზეს ქალაქებს...

ხალხის ყოფაცხოვრების, მისი ისტორიული წარსულის რაოდენ განუყოფელი ნაწილი იყო ქართული სიმღერა, როგორ ამხნევებდა და აღაფრთოვანებდა იგი ხალხს! ქართული სიმღერა

ხომ ერის უძვირფასესი ისტორიული ძეგლია. ახლა, როდესაც ვისმენთ „მუმი მუსას“ ან „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, როცა ვიხილავთ სალაშქრო „ხორუმს“ უმაღვე თვალწინ დაგვიდგება საქართველის გმირული წარსული...

მუსიკა მრავალნაირია: სერიოზული და მსუბუქი, უფრო მეტად ან უფრო ნაკლებად მისაწვდომი, პროფესიული და ხალხური. რასაკვირველია, ყველა ნაწარმოები ერთნაირად გასაგები როდია, განსაკუთრებით, თუ კი მას პირველად ისმენ. მსმენელის მისწრაფება კი მუსიკისადმი უდიდესია, განსაკუთრებით ახლა. სწორედ ამიტომ, ასე მნიშვნელოვანია მუსიკის პროპაგანდის პრობლემა. მსმენელს უნდა შეეაყვაროთ მუსიკა, მხურვალედ, მგზნებარედ უნდა დავეხმაროთ გაერკვეს ამა თუ იმ ნაწარმოებში. და მაშინ ყველაზე რთული ნაწარმოებიც კი მომხიბვლელი, უბრალო და ულამაზესი გახდება მისთვის.

წარსულის ყველა კომპოზიტორის საწუკარი ოცნება იყო, რომ მათი შემოქმედება, მათი ნაწარმოებები ხალხის კუთვნილება გამხდარიყო. მათ კარგად ესმოდათ, რომ გენიალურია მხოლოდ ის, რაც მისაწვდომია, რაც მოიპოვებს გზას მსმენელის გულსაკენ.


„ჩემმა მუსიკამ ცეცხლი უნდა აღმოფხვრას ადამიანების გულებიდან“, — წამოიძახა დიდმა ბეთოვენმა და მოითხოვა თავისი სიმფონიების შესრულება არა საკონცერტო დარბაზებში, არამედ ღია მოედნებზე, უთვალავი მსმენელის წინაშე. მით უფრო მისწრაფიან მსმენელთან მჭიდრო დაახლოებისაკენ თანამედროვე კომპოზიტორები, რომელთა მუსიკა ხალხისათვისა განკუთვნილი.

მუსიკა უნდა გახდეს ხელოვნების ყველაზე პოპულარული ნაირსახეობა. ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემას მიეძღვნა ახლახან, ლენინგრადში, მუსიკისმცოდნეთა საკავშირო თათბირი.

ამ თათბირის ერთერთი ცენტრალური საკითხი იყო საბჭოთა მუსიკის პროპაგანდა. ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ბრწყინვალედ განვითარებულმა საბჭოთა მუსიკამ დიდად გაუსწრო წინ მის პროპაგანდას მსმენელთა შორის; ბევრ მუსიკალურ სიხალეს, ხშირად მეტად საინტერესოს, ღირსშესანიშნავს, სამწუხაროდ, არ ოცნობს ჩვენი მსმენელი. თანამედროვე მუსიკას რომ უკეთესი პროპაგანდა გავუწვიოთ, მსმენელს ისევე შეუყვარდება იგი, როგორც ბეთოვენის, ჩაიკოვსკის ან ვერდის.

აი, ახლა, ქალაქ გორკში, თანამედროვე მუსიკის ფესტივალი მიმდინარეობდა. მისი პროგრამა თითქმის სულ შოსტაკოვიჩის ნაწარმოებზე

ზოგი რაა ღოჯიოლონი უსუსუ



არა, არა! არ მოგცემთ უფლებას ამ წერილს ორთხილი შეძახილი შეხვდეთ: „ოჰო, ესეც ახალი პრობლემა!“ ახალგაზრდა ოჯახის ჩამოყალიბებაში დედამთილი სერიოზულ, ზოგჯერ კი მთავარ როლსაც ასრულებს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა დღევანდელ, არაჩვეულებრივად ძნელ საბინაო პირობებში, როდესაც ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ბედი სასწორზე დევს, ესე იგი, როცა წყდება მშობლებთან ერთად ცხოვრების საკითხი. აი, მაშინ ჩვენ უკვე მართლაც სერიოზულ პრობლემასთან გვაქვს საქმე. ნერვიული, დაძაბული ატმოსფერო, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირად გამეფდება ხოლმე სახლში, ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ბედ-იბლის განმგებელი ხდება.

იმ ცუდ დამოკიდებულებაში, რომელსაც ხანდახან რძალსა და დედამთილს შორის აქვს ადგილი, უმეტეს შემთხვევაში, ბრალი ორივე მხარეს მიუძღვის. მაგრამ ამ ურთიერთობაში წარმოქმნილი ნაპრალი, მისი ფორმა და სიღრმე დამოკიდებულია უპირველესად ყოვლისა იმ „ახალი“ ქალისაგან, რომელიც შემოდის უკვე ჩამოყალიბებულ დედამთილის, მამამთილისა და მათი ვაჟიშვილის ცხოვრებაში. ამიტომ გათხოვებისას ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ შენი ცხოვრების მომავალ მეგობარს უყვარს თავისი მშობლები, შეთვისებულია მათთან, გაიზარდა მათთან და მათი მზრუნველობის ქვეშ. ეს მათ ჩამოუყალიბებს მას ხასიათი და მისთვის ახლობელია თავისი ოჯახის ატმოსფერო. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ დედამთილის ურთიერთობა თავისი ვაჟიშვილის ცოლთან სრულებით თავისებური და სპეციფიურია. აქ თამაშში ორი ინსტიქტი მონაწილეობს: დედისა და ქალისა, და რაც არ უნდა გონიერი ქალი იყოს დედამთილი, სადაც, გულის სიღრმეში მას ღრუნის მრავალი წლით ჩაბუდებული ეჭვიანობა. მან მთელი ცხოვრება ანაცვალა „თავის ბიჭს“ (ფიქრებში იგი ყოველთვის ასე ეძახის შვილს), დაჰკანკალებდა, მისი გულის მოგზავს ცდილობდა, ხან გულნატკენი იყო, ხან კი მიხით ამაყობდა, მასთან ერთად განიცდიდა მის წყენასა და სიხარულს...

ჰოდა, აი ახლა „მისი ბიჭი“ მიდის სხვა ქალთან, ამ ქალმა სულით ხორცამდე მოსტაცა იგი დედას, მთლიანად დაისაკუთრა და მოუსპო ავადმდე დამკვიდრებული დედური პრივილეგიები.

მიუხედავად იმისა, რომ გონება სულ სხვას ეუბნება, მიუხედავად ცხოვრებაში საუკუნეების მანძილზე დაკანონებული წესებისა, რაღაც დიდი სიმწარე ღრუნის დედის გულს, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ აღიარებს — ესაა ეჭვიანობა. ეჭვიანობა, რომლისაც რცხენია, მაგრამ რომელსაც ღრმად გაუდგამს ფესვები მის გულში. რაც უფრო კულტურულია და გონიერია

ქალი, მით უფრო ადვილად იმორჩილებს იგი ამ გრძნობებს, მაგრამ არიან ისეთი „ხარბი“ დედებიც, რომლებსაც ძალა არ შესწევთ თავს მოერიონ. ამის შედეგია ის, რომ ასეთი დედები კრიტიკულად არიან განწყობილი რძლის მიმართ, ზოგჯერ კი სრულიად არასაჭირო ყურადღებას იჩენენ და, საერთოდ, ახირებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

აი, მაშინ უნდა გაუგოთ, ახალგაზრდა ქალეზო, ამ ქალს და მის გრძნობებს. ეს გრძნობები იმ სასოწარკვეთილების გამოზატყველია, რაც შვილის „დაკარგვამ“ გამოიწვია. შვილი მის მთელ ცხოვრებას აესებდა, ახლა კი იგი სხვა ქალთან მიდის და ამ დღიდან დედის ცხოვრება უმიზნო და ცარიელი იქნება. კიდევ მეტი, მან ჯერ კიდევ არ იცის, ეყვარება თუ არა მომავალ ცოლს „მისი ბიჭი“, ბედნიერი იქნება თუ არა იგი მასთან. გონიერი ქცევით, თავაზიანობით და კეთილი გულით ყოველთვის შეიძლება დედის გულის ტკივილის გაქარწყლება, შერბილება და მთლიანად მოსპობაც კი, ვინაიდან ამ გულს შეუძლია იშვილოს არა რძალი, არამედ მეორე შვილი — ქალიშვილი.

ეს ისტორია იწყება ასე: ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელიც მომავალ დედამთილთან და მამამთილთან სტუმრად წასასვლელად ემზადება, უფრო მეტხანს უნდება თმის დავარცხნას და კაბის ამორჩევას, ვიდრე მაშინ, როცა თავის შეყვარებულთან ჰაჟანზე მიდის. გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობს: ნეტავი მოვეწონო... აუცილებლად უნდა მოვეწონო...

მეორე დღეს მარკი თუ ანჯი თავის ევას თუ ბარბარას თავშეკავებული სიხარულით უხიარებს მისი ვიზიტით მიღებულ შთაბეჭდილებებს: „შენ მათ ძალიან მოეწონე. დედამ სთქვა, რომ ძალიან მომხიბვლელი და სათნო ხარ. აღტაცებული იყო შენი გემოვნებით, როცა ლარნაკში ყვავილებს აწყობდი და იცი, სთქვა, რომ შენ აუტოლებლად კარგი დიასახლისი იქნები, რადგან სულ ახალგაზრდა გოგონა ასე მარადად მოგზარე ვაშხმის მომზადებაში. ძალიან ნასიამოვნები იყო...“ და ა. შ.

ევას თავისი დედისგან ხშირად გაუგონია, რომ ძალიან უწესრიგოდ იცის სუფრის გაშლა და რომ დედას უკვე მოთხრდა იმაზე ლაპარაკი, თუ რა დარჩა ევას გასაკეთებელი და რა არ გაუკეთებია ბოლომდე.

„საკვირველია, — ფიქრობს ევა, — როგორი კარგი შეფასება მომცა ჩემმა სადედამთილომ, თუმცა ასე ცოტა ხანია რაც მიცნობს, და ისიც უმეტესად მარკის მონაყოლით. საერთოდ, ისინი ჩემს მშობლებზე უფრო კულტურულნი არიან. უნდა ვუკადო, რომ მარკის მშობლებთან შეხვედრისას დედამ არაფერი

ისეთი არ თქვას... რა ბედნიერებაა, რომ მარკს ასეთი შესანიშნავი მშობლები ჰყავს!“

გადის თვეები და ხშირი შეხვედრების შემდეგ მომავალი დედამთილი და მამამთილი უკვე ნაყოლები ცერემონიით ექცევიან ევას. ერთ დღეს იტყვიან, რომ ევას თმის ვარცხნილობა არ მოსწონთ, მეორედ — რომ ევას ამ კაბის ფერი არ უხდება, მესამედ...

ქორწინებიდან ნახევარი წლის შემდეგ ევა გაჯავრებით უყვება მეგობარს: „ხომ იცი, როგორ მიყვარდა ისინი, როგორ მეამაყებოდა მათი რძლობა. მაგრამ, თურმე შეეცდი. აუტანელი ხალხია, წარმოუდგენლად სასაცილონი არიან. დედამისი ცოტა არ იყოს ეჭვიანობს კიდევ, რომ მარკს ასე ძალიან უყვარავ. მარკის თანდასწრებით ის პირდაპირ ალერსად დნება, მაგრამ, როგორც კი მარტო დავრჩები, დაიწყებს: „მეცოდება ბიჭი, ძალიან ცუდი ფერი აქვს. მუშაობას გადაწყვა. მთელი დღე სამსახურში თავაუღებლივ მუშაობს, სახლში კი ვერ ისვენებს, ყოველ საღამოს სადაც მიდიხართ...“ და ასე შემდეგ. წარმოგიდგენია? თითქოს მარკი მუშაობას ჩემი გულისათვის გადაწყვა, თითქოს ჩემი გულის მოსაგებად იქცეოდეს ასე...“

და ევას უკვე სიამაყის გრძნობა იპყრობს: რა საყვარლები არიან მისი მშობლები, მარკი ისე კარგად გრძნობს თავს მათთან! როგორი ახალგაზრდაა დედიკო, პირდაპირ უფროსი ამხანაგია. მამა კი ისეთი საყვარელი და საინტერესო ადამიანია!...

არსებითად ევასა და მის დედამთილს შორის განუთქილება ჯერ კიდევ არ ჩამოვარდნილა. ევა ბედნიერი და უშფოთველია. მარკი ფიქრობს რომ უმეტეს შემთხვევაში ევა მართალია.

ო, ევა! სანამ სამსახურში გაიტანდე ქმრის ოჯახს, ჩაუფიქრდი: იქნებ შენა ხარ დამნაშავე იმ ცუდ ურთიერთობაში, რომელიც თქვენს შორის დამკვიდრდა? დაუფიქრდი, განა სწორი იყო შენი ქცევა, როცა დედამთილს უთხარი: „ჩემს სახლში ბევრად უფრო სასიამოვნოა ყოფნა და მარკი ისე კარგად გრძნობს თავს ჩემს მშობლებთან! მარკმა მითხრა, რომ ის ყველაფერზე მზადაა ჩემი გულისათვის, რომ მას ძლიერ მოსწონს ის ატმოსფერო, რომელშიც მე აღვიზარდე და ის საოცრად ადვილად ეგუება ჩვენს ჩვეულებებს?...“ განა ასეთი ლაპარაკის შემდეგ შენ შეგიძლია დაამტკიცო, რომ გესმის, თუ რას ნიშნავს დედისათვის გამოთქმა „მთლიანად დაკარგული შვილი“?

ყურადღებით დააკვირდი არა მარტო შენს ქმარს, არამედ ნაცნობების ქმრებსაც. გაგიგონია როდესმე მათგან სიდედრებზე წუწუნი? — არასოდეს. უთქვამს როდესმე მარკს გესლიანად: „ვერასოდეს ვერ მიხვდები, რა ეწყინება და რა გაუხარდება დედაშენს?“ — არასდეს! განა

აკრიტიკებს იგი შენი მშობლების გემოვნებას? — არა. განა უთქვამს შენიანებთან: „ჩვენთან უკეთესია ყოფნაო?“

მარკი სიამოვნებით ყიდულობს პატარა საჩუქრებს შენი დედისათვის და უცვლელი ინტერესით საუბრობს შენს მამასთან. დარწმუნებული ვარ, რომ მარკს ძლიერ უყვარხარ, რომ უბრალოდ, ზრდილობიანი და ჭკვიანია, და არ გაგრძობინებს, რომ ხშირად დედაშენის გემოვნება დასაძრახია და ხანდახან ძლიერ მოსაწყენია მამაშენთან საუბარი პირველი მსოფლიო ომისდროინდელ „მის სამხედრო მიღწევებზე“.

ტაქტი, გულისხმიერება და შემწყნარებლობა — აი, ეს ზრდილობები უნდა გაგვანდეს ქმრის მშობლების მიმართ. და ამაში ჩვენ ვგულისხმობთ არა „თამაშ“, არა! აქ ლაპარაკია იმაზე, რომ უნდა ვიყოთ სათნო და ზრდილობიანი და დროთა განმავლობაში მოვიპოვოთ მათი ნდობა.

შესაძლოა, ბევრ ახალგაზრდა ევას გამოადგეს ქვემოთ მოთავსებული პატარა „დედამთილთან ქცევის სახელმძღვანელო“.

1. ჰკითხე დედამთილს, ხომ არ სურს გაგიზიაროს, რა კერძები უყვარს მის „ბიჭს“ ყველაზე უფრო და ხომ ვერ გეტყვოდა მისი დამზადების წესს.

2. გაიგე, რა აინტერესებს დედამთილს და რა უყვარს, დიამახსოვრე და ეცადე მასთან საუბრის დროს ელაპარაკო ამ თემებზე.

3. ნურასოდეს ნუ ეცდები შეუცვალო დედამთილს და მამამთილს მისწრაფებები და ჩვეულებები.

4. ქმრის მშობლებთან ნურასოდეს ნუ გაკიცხავ შენს მეგობრებსა და ნათესავებს.

5. თუ დედამთილს ჰყავს უმცროსი შვილები, დროდადრო შესთავაზე მათზე მზრუნველობა.

6. ეცადე ერთად იაროთ საყიდლებზე. თუ სტუმრებს ელოდებით — მოეხმარე მას სადილის მომზადებაში.

7. აუცილებლად ესიამოვნება შენგან ორიოდ ყვავილი სარვამარტოდ და მისი საყვარელი ტბილეული, მიტანილი ისე, ყოველგვარა მიზეზის გარეშე.

8. წააქეზე ილაპარაკოს ბავშვის აღზრდის გამოცდილებაზე.

9. როდესაც დედამთილი რჩევას გაძლევს, ნუ

იყურები აქეთ-იქით დაბნეულად. მოუსმინე ინტერესით — აუცილებლად გამოგადგება.

10. ხანდახან უთხარი რაიმე სასიამოვნო თვითონ მასზე, ან კარგ ნაფიქრზე, ან რაიმე კარგზე მის სახლში.

11. ეცადე მისი თანდასწრებით იყო კარგად აღზრდილი. ნურასოდეს ნუ ეცდები გააკვირო იგი შენი შესუდულებებით (აქ ლაპარაკი არ არის პირმოთხოვბაზე: აუცილებლად უნდა იცოდე, როდის არის საჭირო დუმილი!).

12. ნურასოდეს ნუ მისცემ არასასიამოვნო შემჩვენებს შენს საქმროს ან ქმარს დედამთილის თანდასწრებით. ნუ იტრაბახებ, რომ საოჯახო საქმეების არაფერი გაგეგება. თუ ასეთი უარყოფითი მხარე გაქვს. — დაე, ეს დედამთილმა რაც შეიძლება გვიან აღმოაჩინოს.

13. იყავი ყურადღებით, რომ შენმა ქმარმა არ შეასუსტოს მშობლებისადმი ყურადღება.

14. შეიმუშავე ჩვევა ღვარძლიანობის არგაგებისა — ამით შენ მოიგებ!

15. უნდა აღიარო საკუთარ თავთან და უნდა უთხრა დედამთილს, რომ თუ შენი ქმარი ძლიერ თავაზიანია, თუ იგი თავაზიანი და გულითადად აღამიანია, ეს, 90 პროცენტით დედის დამსახურებაა.

რასაკვირველია, შეუძლებელია ძალით სიყვარული, მაგრამ ქმრის მიმართ სიყვარულის გრძობაში აუცილებლად უნდა იყოს ჩაქსოვილი მორალური პირობა იმისა, რომ აზრადაც არ უნდა გაივლო ქმრის მშობლების კრიტიკა, ან მათი მნიშვნელობის შემცირება. იყავი დიდსულოვანი და კეთილი. ნურასოდეს ნუ დაუშვი ქმარს იყოს კარგი შვილი.

და კიდევ ერთი პატარა რჩევა: არასოდეს არ უთხრა საქმროსა თუ ქმარს, რომ ყველაფერზე, რაც თქვენ ორს გეხებათ, რჩევა-დარიგებებს შენი დედისაგან იღებ, რომ, მაგალითად, დედამ მოგაწოდა „გენიალური“ აზრი, რომ სასადილო ოთახი მწვანე ფერად შეიღებოს. ნუ ეტყვი მას, რომ ეს აზრი დედაშენისაა და არა შენი. დამერწმუნე, რომ შენი ქმარი მოხარული იქნებოდა, რომ დედაშენს საერთოდ არავითარი გენიალური აზრები არ ებადებოდეს თქვენი ბინის შესახებ.

პოლონურიდან თარგმნა
დალი ზოზიბაიშვილი



არსებითი შეხვედრა

პირველი ქალი: რა არის თქვენს ყველაზე დიდი ნაკლი?

მეორე ქალი: ჩემი პატივმოყვარეობა. რამდენიმე საათს ვატარებ ხარკის წინ და ვტკბები ჩემი სილამაზით.

პირველი ქალი: ეგ პატივმოყვარეობა კი არა, სიბეცვა.

ნართი

მასწავლებელი კლასში ბავშვებს უამბობდა ერთი ავადმყოფი მუშის შესახებ, რომელიც ლოგინად იყო ჩავარდნილი. მისი ცოლი კი ბეჭითად მუშაობდა, მატყლს ართავდა და იმით კვებავდა.

უცებ ერთი გოგონა დაიჭლანა.
— რა დაგემართა, აგნესა? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— ბატონო მასწავლებელო, ეს ნამდვილი ამბავია?

— რატომ გეიჭვება, ჩემო პატარავ?
— მე ვფიქრობ, რომ ნართი ძალიან უგემური უნდა იყოს, — მიუგო ბავშვმა.

საქმიანობა

მასწავლებელმა ბავშვებს დასაწერად მისცა ორ-ორი წინადადება, თვითოეული ხუთი წმინდის შემადგენლობით.

პატარა პაულმა დაწერა:
„დედა ხარშავს, წმინდს, კერავს, რეცხავს, აუთოვებს.
მამა ჭამს, სვამს, ეწევა, კარტაობს, ძინავს.“

მამსის სიხარული

ცოლმა ქმარს მოდების ახალი ჟურნალი უჩვენა და უთხრა:

— შეხედე, მაქს, წელს მამაკაცები უდიდო პერანგებით ივლიან.

— ჩინებულო, — წამოიძახა სიხარულით მაქსმა. — მე უკვე თხუთმეტი წელიწადია, რაც უკანასკნელ მოდაზე ვიცვამ.

გერმანულადან თარგმნა
შ. ამირანაშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე „ყვავილები“, მეოთხე გვერდზე — „ზღვის სანაპიროზე“. ფოტოტიპდები ნორანთიძის.

რედაქტორი თეო აბაშვიძე	სარედ. კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ნ. გურგენიძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მღვიანის), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ნ. ჭავჭავაძე.	საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
---------------------------	---	--

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/V 64 წ. ქალაქის ზომა 60x92. ტირაჟი 50.000. შეკვ. № 1217. უე 04350, ფასი 30 კაპ.
საქ. კვ. ც-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелოს კალი».
Издательство ЦК КП Грузии.

ზუკოთა ტანსაცმელი

ბავშვის ტანსაცმელი მოდის გავლენას იხეხშირად არ განიცდის, როგორც მოზრდილებისა. მიუხედავად ამისა, თითქმის მოდის ყველა ჟურნალი ბავშვებისთვისაც გეთავაზობს ახალ ფასონს და, რასაკვირველია, ამ ახალსაც უნდა დაეთმოს ადგილი ბავშვის გარდერობში.

ფასონის შერჩევისას კარგად უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის ასაკი და მისი ტანსაცმელი არ უნდა დაგამსგავსოთ უფროსის ჩააცმულს.

ბავშვის ტანსაცმელი სადა, მოხერხებული და პიკინური უნდა იყოს. მან არა მარტო უნდა დაამშვენოს ბავშვი, არამედ განუვითაროს კულტურული ჩვევებიც, ამავე დროს შეაჩვიოს ფერების პარმონიულ შეხამებას, დაუხვეწოს გემოვნება.

ბავშვები თავის ცხოვრების მეტ ნაწილს თამაშში ატარებენ. თამაში მათთვის ისევეა საჭირო, როგორც პაერი.

ძვირფასი ქსოვილისაგან შეკერილი, ტანზე შემოწკპილი ტანსაცმელი პატარას მხოლოდ ზღუდავს მოძრაობაში. ბუნებრივია, რომ ასე გამოწყობილი ბავშვი შურით შეცქერის სადად და მოხერხებულად ჩაცმულ თავის ახანავს, რომელიც მხიარულად ხტის და თამაშობს ბავშვებთან. ხოლო მშობელი, რომელმაც თოჯინასავით გამოაწყო შვილი, ვერც კი ხვდება, თუ რა დიდი სიხარული მოაკლო თავის პირმშოს, არ მისცა მას საშუალება მხიარულად გართულიყო ტოლ-სწორებში.

რასაკვირველია, არის მეორე უკიდურესობაც: მშობელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ბავშვის ჩაცმას და მზრუნველ ხელს მოკლებული ბავშვი კარგავს მოთხოვნილებას სილამაზისა და კოხტობისადმი.

ბავშვის ტანსაცმელი მდიდრული და ძვირფასი კი არ უნდა იყოს, არამედ ლამაზი, მოხერხებული, სუფთა.

რთული გამოჭრილობის ტანსაცმელი ბავშვისათვის გამოუსადეგარია. ზედმეტი დეტალი აძნელებს კერვას. ტანსაცმელი ისე უნდა შეიკეროს, რომ ადვილი იყოს მისი ჩაცმა ან გახდა, ამავე დროს გაწმენდა და გაუთოებაც.

ბავშვის ტანსაცმელს ძალიან ალამაზებს სხვადასხვა მოსართავეები, მავალითად, კანტი, ხვეული თამასა, მაქმანი, არშია, ნაქარგი, ნაკეციები.

ბავშვის ტანსაცმლისათვის ქსოვილი საგანგებოდ უნდა შეირჩეს. უფროსებისათვის განკუთვნილი ქსოვილებისაგან პატარებს ყველა როდი გამოადგებათ; ბევრი მათგანი ბავშვის სხეულზე მოგვეჩვენება უხეში, მძიმე და მოსაწყენი. უკეთესი იქნება გამოვიყენოთ ღია ფე-

რის ან წვირილად მორითული ბამბაზია, შოტლანკა, იაფფასიანი თხელი შალი, პოლინი, ჩითი ან მაია.

სასკოლო ასაკის ბავშვები, როგორც წესი, ფორმას ატარებენ. გარდა ფორმისა, გოგონების გარდერობში შეიძლება იყოს: დილის ხალათი, გამოსასვლელი კაბა, ორი-სამი ზაფხულის კაბა (ჩითის, პოლინის, მაიას ქსოვილისაგან შეკერილი), წვრილნაკეციანი ქვედატანი, ბლუზა, ჟაკეტი თუ სვიტრი, სპორტული გარნიტური. ბიჭების გარდერობში შეიძლება იყოს: მოკლე და გრძელტოტიანი შარვლები, ხალათი, მატროსული, სეკტრა, ქურთუკი, სპორტული გარნიტური და სხვა.

უფროსკლასელმა გოგონებმა შეიძლება ატარონ კაბა ტანზე მოყვებული ლიფით და განიერი ქვედატანით, ბიჭუნებმა კი — სპორტული კოსტუმები, თავისუფლად აჭრილი და შარვლის ზემოდან გადმოშვებული ბლუზა. ასეთი ბლუზა ნაკლებ ცხელია, თანაც მისი ხმარება უფრო აკურატულად შეიძლება, ვიდრე ჩატანებულისა.

სპორტული ვარჯიშისათვის თუ სამოგზაუროდ სპორტული შარვლის შეკერვა აჯობებს, როგორც ბიჭუნების, ასევე გოგონებისათვისაც. შესაკერად შალის ან ნახევარშალის ქსოვილი უნდა შეირჩეს. გოგონებმა შარვალი არავითარ შემთხვევაში ქვედატანის ქვეშ არ უნდა ჩაიცვან — ეს ძალიან ულამაზოა.

სახლში საქმიანობისას გოგონებმა და ბიჭუნებმაც აუცილებლად წინსაფარი უნდა იხმარონ. წინსაფარი მათ სუფთად შეუნახავს ტანსაცმელს და მიაჩვევს სისუფთავეს.


როგორც გოგონების ისე ბიჭუნების პალტოს უხდება იაფფასიანი ბეწვით გაწყობა. ბეწვი პალტოს სილამაზეს და სითბოს შემატებს.

გოგონებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ატარონ ფეტრის ქუდები. მათ ბერეტი ან მოქსოვილი ქუდი უნდა შეუერთოთ. ქუდთან შეხამებით შეგიძლიათ ხელთათმანი და ხელსახვევიც მოქსოვოთ.

ბავშვმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ატაროს სამკაული.

ბავშვისათვის ბევრი ტანსაცმლის შეკერვა უაზრობაა, რადგან ის სწრაფად იზრდება. გარდა ამისა, ჩვენი მრეწველობა ხშირად უშვებს სხვადასხვა ახალი მოჩითულობის ქსოვილს. ბევრი მათგანი ბავშვებისათვისაც ივარგებს და, რასაკვირველია, სასურველია, რომ მისი გარდერობი ახალი ქსოვილისაგან შეკერილმა ტანსაცმელმა შეავსოს. გარდა ამისა, აქ გასათვალისწინებელია ერთი ფსიქოლოგიური მომენტიც: როცა ბავშვს ბევრი ტანსაცმელი აქვს, იგი ნაკლებად უფროსილდება მას.

ც. ელიგულაფილი,
ლ. კაიხაძე.



ИНДЕКС 76177

0757/136

საქართველოს
ბიბლიოთეკები

